F75N3087
75/3
1924წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩვეულებრივი ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩვეულებრივით.

დღიური

ისპანიაში დაიწყო კომუნისტების მასიური დატუსაღება. მარტო ბარსელონაში დაატუსაღეს 200 კომუნისტი.

გარდაიცვალა ეიფელის კოშკის აღმშენებელი-ინჟინერი ეიფელი—92 წლის.

ბულგარეთში განახლდა კომუნისტების დევნა.

იაპონიაში ფაშისტური ბანდები შეიჭრნენ შინაგან საქმეთა მინისტრის გოტოს კაბინეტში და სიკვდილით დაემუქრნენ მას.

მახნო „ძლიერ კმაყოფილია" პოლონეთის სასამართლოთი.

№ 1 სამშაბათი, 1 იანვარი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 1

ტფილისის მუშების ერთი ჯგუფი აცნობებს საქართველოს პროლეტარიატს, რომ ღამით, 30 დეკემბერს მენშევიკების ჯალათების მიერ ვერაგულად მოკლულ იქნა ამხ.

ილარიონ სიმონის-ძე გიორგაძე

ძველი რევოლიუციონერი და მებრძოლი, რომელიც შეგნებულათ მიესხრო სრულიად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უკანასკნელის ყრილობის დადგენილებებს და დადგა კომინტერნის დროშის ქვეშ.

ცხედრის გამოსვენება მოხდება 1924 წ. 3 იანვარს, დღის 3 საათზე, გარდაცვალებულის ბინიდან (პლეხანოვის ქუჩა № 129).

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა პარასკევს, 1924 წელს 4 იანვარს

ერთიან პარტიულ დღეს

რადგანაც დისკუსია პარტიის ახალ ამოცანების შესახებ ზოგიერთ იაჩეიკებში არ დამთავრებულა, დღის წესრიგი შეიმუშაონ თვით იაჩეიკებმა და რაიკომებმა.

ც. კ. მდივანი რუხაძე.

ყველა პარტიულ, სახელმწიფო, კოოპერატიულ, სამეურნეო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და აგრეთვე ყველა გაზეთების რედაქციებს.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან არსებული ბეჭდვითი საქმის გამოფენის მომწყობი კომისია იწვევს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიიღონ მონაწილეობა დასახელებულ გამოფენაში მათ მიერ გამოცემულ ჟურნალების, გაზეთების, წიგნების, ბროშიურების, ფურცლების და სხვ. გადმოგზავნის გზით.

ექსპონატები უნდა გადაიგზავნოს კომუნისტური აღზრდის ცენტრალურ სახლში (ყოფილი სამხედრო ტაძარი) ამხ. პუტილოვთან არა უგვიანეს 1924 წ. 3 იანვრისა.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტ. საპროპ. განყოფილება.

ძველი და ახალი

ჩვეულებად მიღებულია, საახალწლოდ განვლილი წლის მოვლენებისა და ნამუშევარისათვის ჯამის გაკეთება და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება.

თუმცა ჩვენ საამისოდ უფრო შესაფერი თარიღები გვაქვს—7 ნოემბერი—ოქტომბრის [illegible] უსრულებელ ბრუნვას მო[illegible] ერთი რგოლი, 1923 წელი, და ჩაეშვა მარადისობის უფსკრულში.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ერთი საკითხი, სახელდობრ: რამდენად დაუახლოვდით ისტორიის არქივს გადაცემული წლის განმავლობაში ჩვენს საბოლოო მიზანს, შრომის სუფევის გამარჯვებას.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვან მიღწევებთან გვაქვს საქმე.

განვლილი წელი ჩატარდა ინტენსიური აღმშენებლობითი მუშაობის ნიშნით ჩვენი ცხოვრების ყველა დარგებში.

მძიმე იყო ეს მუშაობა, ნელი ნაბიჯით მიდიოდა ჩვენი ეკონომიური და კულტურული აღორძინება. ჩვენ ისევ ღარიბნი ვართ, არ მოგვეპოვება საკმაო საშუალებები დასახული მიზნების მოკლე დროში განსახორციელებლად; ჩვენ კიდევ ვემყარებით მხოლოდ საკუთარ წყაროებს და უნარს, კვლავ გარშემორტყმული ვართ კაპიტალისტურ ქვეყნებით. ყველაფერი ეს ფრიად აბრკოლებდა ჩვენს წინ წაწევას ისეთი ტემპით და მასშტაბით, როგორც ეს გვსურს. მიუხედავად ამისა, თუმცა ნელი, მაგრამ უტყუარი სისტემატიური წარმატების ნიშნები უდავო ფაქტია.

კერძოდ მწვავედ იდგა წარსულ წელში ე. წ. „მაკრატლის" საკითხი. გლეხობა დიდ გაჭირვებას განიცდიდა. სამრეწველო ნაწარმოები მისთვის თითქმის მიუწვდომელი გახდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიიაფის გამო მან დაკარგა სყიდვითი უნარი. ამან გამოიწვია მრეწველობის და მისი გასაღების კრიზისი. პროპორციის დარღვევა სასოფლო-მეურნეობასა და მრეწველობას შორის დიდ საფრთხეს უქადდა მუშისა და გლეხის კავშირს, თვით საბჭოთა ხელისუფლებას.

მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა ამ კრიზისის შესუსტებლად და დასაძლევად. და ჩვენ ვხედავთ, რომ გასული წლის მიწურულში უკვე მოხდა საგრძნობი გარდატეხა არსებულ მდგომარეობაში. [illegible] ზომების წყალობით, ქალაქის საქონელი შედარებით თანდათან იაფდება.

დამდგარი წლისათვის ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის უმთავრეს საკითხად ისევ რჩება „მაკრატლის" პრობლემა. ამ ყოველ მიზეზების გარეშე ჩვენ უნდა შევძლოთ მისი სასურველად გადაჭრა და მუშისა და გლეხის კავშირის [illegible].

გასული წლის [illegible] პოლიტიკურ ცხოვრების სფეროში აღსანიშნავია საბჭოთა ხელისუფლების უფრო მეტი განმტკიცება [illegible] ყველა მშრომელთა შემოკრების გზით, ანტისაბჭოთა პარტიების დაშლით. ეს პროცესი მშრომელი ელემენტების კონსოლიდაციის, ანტისაბჭოთა პარტიების დაშლის და თვითლიკვიდაციის დასრულდა განვლილ წელში. დღეს თუ კიდევ არიან აქა-იქ დარჩენილნი საბჭოთა ხელისუფლების მტრები, ისინი უკვე საბოლოოდ გადაგვარებულნი არიან ბანდიტებად, ბანდიტურ შაიკებთან, რომელთაც უნდა ვებრძოლოთ—სწორედ როგორც ასეთებს, მთელი სისასტიკით და შეუბრალებლობით.

საბჭოთა ხელისუფლება მაგარია არა მარტო შიგნით: დღითი-დღე უფრო მტკიცდება მისი საერთაშორისო მდგომარეობაც. დღეს მთელ რიგ დიდ თუ პატარა სახელმწიფოებში საბჭოთა კავშირთან საალებმიცემო დამოკიდებულების აღდგენის და მისი იურიდიული ცნობის საკითხი დამდგარია დღის წესრიგში.

თავის თავად ცხადია, ჩვენი შემდეგი გამარჯვება როგორც საშინაო, ისე საგარეო ფრონტზე დამოკიდებულია უმთავრესად, და პირველ ყოვლისა თვით ჩვენი მშრომელთა რევოლიუციონურ სიმტკიცეზე, ენერგიასა და შემოქმედებითი მუშაობაზე.

დამდგარ წელსაც ჩვენ გავატარებთ ასეთივე შეკავშირებულ და ენერგიულ აღმშენებლობითი მუშაობას ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული აღორძინებისათვის.

მაგრამ ეს ყოველდღიური, „შავი" მუშაობა ოდნავადაც არ მოასწავებს „წვრილ საქმეების" ჩაფლობას, რევოლიუციონური ჰორიზონტის შეზღუდვას, რევოლიუციონური პერსპექტივების დაკარგვას.

სხვათა შორის, გერმანიის ამბებთან დაკავშირებით დავამტკიცეთ, რომ ჩვენ წინანდებურად ვსულდგმულობთ მსოფლიო რევოლიუციის იმედებით და ყოველთვის მზად ვართ, როცა სათანადო მომენტი დადგება, მთელი ჩვენი ძალღონე გავისროლოთ სასწორზე ამ იმედების გასანაღდებლად.

შემდეგშიც, ყოველი ჩვენი ნაბიჯი განათებული იქნება საერთაშორისო მუშათა კლასის საბოლოო მიზნების წარმოდგენით.

ამ რევოლიუციონური სულისკვეთებით და აღმშენებლობითი მუშაობის დაუცხრომელი ნებისყოფით ვემშვიდობებით ძველს და შევდივართ ახალ წელში.

ტერორზე ტერორით!

30 დეკემბერს ღამით ქალაქის განაპირა უბანში მოკლეს ამხ. ილარიონ გიორგაძე. წინასწარი გამოძიებით ირკვევა, რომ აქ ადგილი არ ჰქონია უბრალო ან შემთხვევითი მკვლელობას.

ამხ. გიორგაძე მოკლულია ორი [illegible] ნასროლია პირ[illegible] ტანისამოსი, საბუთები და ფულები ხელუხლებელი აღმოჩნდნენ. მისი ახლობელი ნაცნობ-მეგობრები შეუძლებლად თვლიან მკვლელობას პირადი მტრობის ან შურისძიების ნიადაგზე. აშკარა არის, ამხ. გიორგაძე შეიქნა პოლიტიკური ტერორის მსხვერპლი. მკვლელობის მთელი გარემოება ამას ნათ[illegible] [illegible], რომ თვითმკვლელობის ინტერესები მოითხოვდა არ დემალათ ეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა ყოველ შემთხვევაში გაძარცვის სიმულიაციას. მაგრამ ეს არ ხრის. ამხ. გიორგაძეზე სისრულეში მოიყვანეს პოლიტიკური ორგანიზაციის განაჩენი. ამ ორგანიზაციამ საქმე ისე მოაწყო, რომ არავითარი ეჭვი არ დარჩენილიყო მკვლელობის პოლიტიკურ ხასიათში.

ამხ. გიორგაძე 20 წლის განმავლობაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. ის ამ პარტიაში შევიდა 1903 წელს. არა ერთხელ გამხდარა ის რეპრესიების მსხვერპლი როგორც პარტიული მუშაკი. მენშევიკების ბატონობის დროს ის სათავეში ედგა რკინისგზელთა კავშირს. მენშევიკური ძალაუფლების დამხობის დროს ის თავისი პარტიის სხვა აქტიურ მუშაკებთან ერთად არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა და გვებრძოდა ჩვენ.

არალეგალური მუშაობის დროს ის კვლავ არალეგალურ მენშევიკურ პროფკავშირებში მუშაობდა. რამდენადაც ჩვენ ვიცით ის იყო პროფკავშირების არალეგალური ბიუროს თავმჯდომარე, რომელიც მენშევიკებმა შექმნეს წინააღმდეგ მუშური პროფესიონალური ორგანიზაციებისა. ამხ. გიორგაძე ეკუთვნოდა იმ ერთგულ მუშების რიცხვს, რომლებიც უკანასკნელ დღეებამდი დარჩნენ თავისი პარტიის და თავისი ც. კ. ერთგული

მენშევიკების ყრილობის დროს, რომელმაც ლიკვიდაცია უყო ამ პარტიას, 1923 წლის აგვისტოში, ამხ. გიორგაძე დარჩა არა მუშებთან, არამედ მენშევიკების ც. კომიტეტთან. ჩქარა, ყრილობის შემდეგ—სექტემბრის პირველ რიცხვებში—ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა მენშევიკების არალეგალურ „კონფერენციაში". ის ამ კონფერენციის თავმჯდომარეთაც იყო ამორჩეული. აშკარაა, რომ მენშევიკები დიდათ აფასებდნენ მუშების იმ ნაშთებს, რომლებმაც კავშირი არ [illegible] მათთან. ამ პარ[illegible]ლინა მოახდინა ბ-ნ ხომერიკის ორგანიზაციის მდგომარეობაზე ამ უკანასკნელი [illegible] ვიკების წასვლამ, რომელიც დაიწყო ჩქარა მენშევიკების ცდის შემდეგ შეეკრიბათ თავისი ძალები არალეგალურ „კონფერენციაზე". ამხ. გიორგაძე 5 სექტემბრის კონფერენციის თავმჯდომარე, იმავე სექტემბერში სტოვებს ავანტიურისტების რიგებს, რომლებიც თავის თავს „მუშურ სოციალ-დემოკრატიას" უწოდებენ.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამხ. გიორგაძის წასვლით მოქალაქე ხომერიკმა, ფალავამ და კომპანიამ დაჰკარგეს უკანასკნელი აქტიური მუშაკი მუშების წრიდან, დაჰკარგეს ისეთი მუშა, რომელიც ერთადერთი დარჩა მათთან აგვისტოში—ყოფილი მენშევიკების ყრილობის დღეებში—და ამით იძლეოდა იმედს, რომ მომავალშიც დარჩება მენშევიკური ც. კ. ერთგული იარაღის მატარებელი.

მაგრამ ასეთი ყოფილა პროლეტარიატის კლასობრივი ინსტიქტი, ასეთია, როგორც ჩანს, მოვლენების ლოღიკა, რომელმაც მენშევიზმი აშკარა პოლიტიკურ ავანტიურიზმამდი მიიყვანა და გადააქცია ის ვაჭრების, მეშჩანების და ყოფილ ბრწყინვალე წოდების პარტიად, რომ თვით ამ პარტიის ურთგულესი მუშები, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც წყვეტენ მასთან კავშირს და დგებიან მშრომელთა რევოლიუციონური მასების რიგებში.

ადვილი წარმოსადგენია რეაქციის ამ წვრილბურჟუაზიული მაჩანჩალების გაბოროტება და გაცოფება, როცა მათი ურთგულესი მუშაკი, მათი უკანასკნელი კონფერენციის თავმჯდომარე ორი კვირის შემდეგ ზურგს აქცევს მას და მიდის იქ, სადაც მას მოუწოდებს მისი კლასობრივი სინიდისი. ამხ. გიორგაძე, ჩქარა სექტემბრის არალეგალური კონფერენციის შემდეგ, დატუსაღებული იქნა და იჯდა საგანგებო კომისიაში. მენშევიკებმა მისი დატუსაღების გარშემო მთელი აურზაური ასტეხეს. ხომერიკის წერილში ნოე ჟორდანიასადმი სახლვარგარეთ ნათქვამია, რომ გიორგაძე საშინლად აწამეს ჩეკაში. მაგრამ როგორი იყო მენშევიკურ ცეკისტების გაოცება, როცა გიორგაძე ცოცხალი და ჯანმრთელი გამოვიდა ჩეკიდან და გამოაშკარავა ბ-ნ ხომერიკის ყალბი ინფორმაცია და დასასრულ შეაფურთხა ამ უკაცრავად სიტყვას „პარტიას" ისე, როგორც შეაფურთხა მას სახეში საქართველოს მთელმა მუშათა მასამ. ადვილი წარმოსადგენია, როგორ დაიღმიჯა ბრაზისაგან სოციალ-ლაქიების სახე. ადვილი გასაგებია, რომ გიორგაძის წასვლა ისეთი დანაკლისს წარმოადგენდა მენშევიკების ორგანიზაციისათვის, რომლის შემდეგ ის უკვე ვეღარ იდგომებოდა მაგრათ ფეხზე და აი „გაცოფებულმა წვრილმა ბურჟუებმა" გადასწყვიტეს [illegible] ამხ. გიორგაძე და [illegible]

ამგვარად მენშევიკები სიტყვიდან, მუქარიდან გადადიან საქმეზე. იმათ გადასწყვიტეს დააგვირგვინონ თავიანთი საგმირო საქმენი ტერორისტულ აქტებით მუშების წინააღმდეგ. მათ ყოფნისთ თავხედობა ჩაიდინონ ეს აშკარად. უკვე დაიღვარა სისხლი მუშის, რომელიც გადავიდა ავანტიურისტებისაგან თავის კლასის მხარეზე. ხვალისათვის, ალბად, მოსალოდნელია კიდევ ახალი ვერაგული მკვლელობა, ახალი ბანდიტური თავდასხმები პროლეტარებზე. არ გასჭრა კრიტიკის იარაღმა, თქვენ ებღაუჭებით იარაღით კრიტიკას, რომელიც მიმართულია მუშების წინააღმდეგ. რა გაეწყობა? ნება თქვენია. ვნახოთ ვისი იარაღი უფრო კარგად გაჭრის, ვისი ტყვია უფრო კარგად მოხვდება მიზანში!

ჩვენ ვაცხადებთ და ამ განცხადებას ჩვენ დავადასტურებთ საქმით, მუშების წინააღმდეგ მიმართულ ტერორზე ჩვენ ვუპასუხებთ წითელ ტერორით ვერაგ მკვლელების პარტიის წინააღმდეგ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ თვითეულ მუშას, გინდ არ უნდა იყოს ის, იქნება ის კომუნისტურ პარტიის წევრი თუ პროლეტარი, რომელმაც კავშირი გასწყვიტა მენშევიკებთან, [illegible] უპარტიო მუშა ყოველგვარ პოლიტიკის გარეშე მდგომი,—ყოველ მუშას ჩვენ ვსთვლით ჩვენიანად. როცა საქმე ეხება მუშების მოკვლას, ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვის დაუმიზნეს მკვლელებმა: კომუნისტს, უპარტიოს, თუ ყოფილ მენშევიკს. ყოველ ასეთ აქტს ჩვენ ვსთვლით გამოწვევად მთელი მუშათა კლასისა, მთელი პარტიისა, მუშათა სახელმწიფოსადმი. და როცა საქმე პოლიტიკურ ტერორს ეხება, ჩვენ არ გაუწევთ ანგარიშს ფორმალურ მოსაზრებებს და იურიდიულ ნორმებს. ჩვენ არ შეგვიძლია, არ გვაქვს უფლება დავკმაყოფილდეთ ამა თუ იმ პიროვნების ინდივიდუალური დანაშაულით ამ მკვლელობაში. უშუალო მკვლელები მიიღებენ, რა თქმა უნდა, სათანადო სასჯელს. მაგრამ პასუხის[illegible] [illegible] წინააღმდეგ [illegible] ლას ტერორისტული მეთოდებით. [illegible] გია ბ-ნ ფ[illegible], ხომერიკის და სხვა ცეკისტ მენშევიკების კოლექტიური შემოქმედების და რომლებიც იმალებიან თუ ჩეკას კედლებში იმყოფებიან. თითეული მენშევიკი, რომელმაც არ დატოვა ბანდიტების და მკვლელებს პარტიის რიგები, პასუხს აგებს თავისი პარტიის ყველა საქმიების გამო ასეთ საქმეებში მთელი პარტია კოლექტიურად აგებს პასუხს თავისი ხელმძღვანელი ორგანოს მოქმედებისათვის. ამხ. გიორგაძის მოკვლისა და სხვა ამგვარ აქტებზე **მუშურ დიქტატურას შეუძლია უპასუხოს მენშევიკებს მხოლოდ ტერორისტული განაჩენების ხელმძღვანელების და შემსრულებლების კოლექტიური დახვრეტით.**

ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ მთელი მენშევიკური და „ობივატელური" ჰაობი შეეცდება იმის შემდეგ, რაც ამხ. გიორგაძე დაეცა პოლიტიკური შურისძიების მსხვერპლად, ტალახში ამოსვაროს დაღუპული მუშის სახელი „გამცემლები"!

ნუთუ პარტიას არა აქვს უფლება დასაჯოს „გამცემლები", მაგრამ თითეულმა შეგნებულმა მუშამ იცის, რომ მოღალატეებისათვის ღალატი, გამცემლების გაცემა არის თითეული რევოლიუციონერის ვალი.

მენშევიკები მივიდენ უმდაბლეს და უსასიხლოვეს ღალატამდე მუშათა კლასის და მისი განთავისუფლების საქმისათვის. არ არსებობს იმაზე უსაძაგლესი ღალატი, როგორც მათ ჩაიდინეს რევოლიუციის და პროლეტარიატის მიმართ. გამცემელთა რიგებიდან გასვლა და რევოლიუციონურ მებრძოლთა ბანაკში დაბრუნება—განა ეს არ არის ყოველი მუშის უმაღლესი მოვალეობა, განა ეს მისი კლასობრივი მოვალეობა არ არის? და ამიტომ „ობივატელურ"—მენშევიკური სიბინძურე არ გასვრის არც ამხ. გიორგაძის სახელს და არც სხვა მუშებისას, რომლებმაც დასტოვეს მენშევიკური პარტია.

ისეთ „გამცემლებს" როგორიც არიან მენშევიკურ პარტიიდან გამოსული 12 ათასი მუშა და გლეხი მუშათა კლასი იღებს თავის რიგებში, როგორც საუკეთესო თანამებრძოლებს და მოღვაწეებს?

ხოლო ჩვენ არ შეგვიძლია და არც გვაქვს უფლება ნება დავრთოთ მენშევიკებს დახვრიტონ ის მუშები, რომლებიც მათგან გარბიან. მუშურ-გლეხური ხელისუფლება არასოდეს არ მიმართავდა წითელ ტერორს, თუ ამას არ მოითხოვდა უკიდურესი საჭიროება. ეხლა კი, როდესაც ავანტიურისტების პატარა ჯგუფი ცდილობს ვერაგულ მკვლელობით შეაჩეროს მუშათა კლასის თავისუფალ თვითგამორკვევის პროცესი, როდესაც ტერორისტული გამოწვევა უკვე მოხდა, დე, თავის თავს აბრალონ ტერორისტ მენშევიკებმა, თუ რევოლიუციონური სასჯელის და წითელი ტერორის მთელი სიმძიმე მათვე დაატყდებათ თავს.

ჩვენ მსხვერპლი არ გვაშინებს

(ამხ. ი. გიორგაძის მოკვლის გამო)

ჯალათებმა მოჰკლეს ამხ. ილარიონ გიორგაძე.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა ერთი პატიოსანი მებრძოლი წმინდა საქმისთვის...

მოღალატურმა ტყვიამ გახვრიტა თავი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ფიქრობდა და ოცნებობდა რევოლიუციის გამარჯვების შესახებ.

მოღალატურმა ტყვიამ გახვრიტა გული, რომელიც სცემდა მუშათა კლასის გამარჯვებისათვის.

ვინ იყო ილარიონ გიორგაძე?

ის იყო ძველი რევოლიუციონერი, ძველი მებრძოლი, რომელიც ცოტას ლაპარაკობდა და მეტს აკეთებდა.

[illegible] წლიდან რევოლიუციონური წარ[illegible] ბრძოლა თვითმპყრობელობის [illegible], არალეგალური მუშაობა. [illegible] წლიდან, მენშევიკურ პარტიის [illegible] დროს ჩვენ ვხედავთ მას რკინისგზელთა კავშირის ტფილისის რაიონული გამგეობის თავმჯდომარედ, მენშევიკური პარტიის [illegible] კომიტეტის წევრად და [illegible]

[illegible] გიორგაძე 1923 წლის ნოემბ[illegible] მენშევიკურ პარტიაში იმყოფებოდა.

[illegible] ყრილობის შემდეგაც, რომელმაც ლიკვიდაცია უყო მენშევიკურ პარტიას, ამხ. გიორგაძე მაინც განაგრძობდა მენშევიკურ პარტიაში ყოფნას.

ის და დობორჯგინიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდენ მენშევიკების არალეგალური კონფერენციის მოწვევაში, რომელიც შეიკრიბა ტფილისში 15 კაცის მონაწილეობით.

მაგრამ ბრძოლაში ის მაინც დარწმუნდა, რომ ჩვენ მიერ არჩეული გზა სწორია.

რკინისგზელის სულში მაინც ალაპარაკდენ კლასობრივი გრძნობები.

და ის ძველი რევოლიუციონერი, რომელმაც შეიგნო თავისი შეცდომა, [illegible] დადგა სოციალ[illegible]

[illegible]ებდა,—მითხრა მან ერთხელ, ჩვენთან გადმოსვლის შემდეგ,—ძნელი იყო იმ პარტიასთან დაშორება, რომელშიც ათეული წლების განმავლობაში ვმუშაობდი, თუმცა ნათლად ვხედავდი, რომ პარტია უკვე ჩამოსცილდა მარქსიზმს. მაგრამ ჭეშმარიტებამ გაიმარჯვა, დავრწმუნდი რა საზოგადოთ, რომ პარტიის საქმის გამოსწორება იდეოლოგიის მხრივ შეუძლებელია, მე ყველაფერი გავსწყვიტე მასთან.

გიორგაძემ და დობორჯგინიძემ, ჩვენი ყოფილი მენშევიკური პარტიის ც. კ. და პროფკავშირების არალეგალური საბჭოს აქტიურმა წევრებმა, კავშირი გასწყვიტეს მენშევიზმთან და აქტიურად დაიწყეს მუშაობა ჩვენს რიგებში.

—აი დავიწყებ მუშაობას,—მეუბნებოდა ამ დღეებში ამხ. გიორგაძე,—მომბეზრდა ეს უმუშევრობა, და მაშინ მთელ დროს მუშაობას მოვანდომებ, რომ არალეგალურ მენშევიკურ ორგანიზაციას ჩამოვაშორო მუშათა კლასის უკანასკნელი ნაშთები, რადგან ამას მოითხოვენ მუშათა კლასის ინტერესები.

და მართლაც, ამ დღეებში ის აპირებდა ხარაგოულში გამგზავრებას, სადაც მუშაობა უნდა დაეწყო რკინისგზაზე.

მაგრამ 30 დეკემბერს საღამოთი მტრებმა ქურდულათ მოჰკლეს ის.

მისი გვამი, ორი ტყვიით განგმირული—თავში და გულში,—იპოვეს მტკვრის პირას, ბორანის ახლო.

მენშევიკურ მაუზერისტებს, რომლებმაც დაჰკარგეს თავი, გონება, საღი აზროვნების უნარი, ტყვიით სურთ მოკლან იდეა...

საბრალო ხალხი!..

იმათ მაუზერებით, ქურდული თავდასხმით სურთ გადაგვაგდონ იმ გზიდან, რომელზედაც ჩვენ შეგნებულად დავდექით.

მაგრამ დეე იცოდნენ ამ გათავხედებულმა მაუზერისტებმა და მათთან ერთად ნოე ხომერიკმაც, რომელიც უკანასკნელ ხანებში მენშევიკურ პარტიაში ორგანიზაციულ საკითხებს განაგებდა და რომლის ლოცვა-კურთხევით გამრავლდენ ეს შავი ყვავები, რომ ეს მსხვერპლი ჩვენ არ გვაშინებს.

ისინი კიდევ უფრო ამტკიცებენ ჩვენს რიგებს და გვარწმუნებენ ჩვენ ბარიკადების იქითა მხარეს დარჩენილი ყოფილი ამხანაგების სრულ გაკოტრებაში. [illegible] სის მოღალატეებს.

გიორგაძე მოკლეს, მაგრამ ცოცხალია იდეა, ცოცხალია ჩვენი რწმენა და საათობით იზრდებიან ჩვენი ძალები, ჩვენი რიგები.

ვინაიდან მაუზერები ვერ შეაჩერებენ ამ ისტორიულ მოძრაობას, ამ ღრმა გარდატეხას საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ.

ა. რუხაძე

გერმანიის სოციალ-დემოკრატია და განსაკუთრებული კანონები კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ

რევოლიუციონური პრესის დღევანდელი მოვალეობაა მთელი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე ფარდა აეხადოს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის უბადრუკ როლს, რომელიც ითამაშა მან კომუნისტური პარტიის მთავრობის მიერ დაშლილათ გამოცხადებაში.

საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატი ბრალსა სდებს სოციალ დემოკრატიას, რომ იგი იყო მთავარი წამქეზებელი კომუნისტური პარტიის „დაშლისა" და აკრძალვისა.

რევოლიუციონური პროლეტარიატი არა მარტო ბრალსა სდებს, არამედ მას მოჰყავს დამამტკიცებელი საბუთებიც.

სოციალ-დემოკრატია როგორც აგენტი ფაშისტურ გენერლებისა.

რამდენიმე კვირის განმავლობაში უკვე ყველა ამჩნევდა, რომ სამხედრო დიქტატურა ამზადებდა კომუნისტური პარტიის აკრძალვას. ეს აღარავისთვის არ იყო დაფარული, მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას ისე ეჭირა თავი, თითქოს იგი ვერაფერს ვერ ამჩნევდა.

მართლაც ორი კვირის წინედ, სანამ გენერალ ფონ სეკტის დეკრეტის ძალით აკრძალულ იქნებოდა კომპარტია, მოხდა საიდუმლო თათბირი რეიხსვერის სამინისტროში: ამ თათბირზე უეჭველია დაესწრნენ თვით სოციალ-დემოკრატებიც. იქ ირჩეოდა საკითხი—თუ როგორ უნდა აილაგმოს კომუნისტური პროპაგანდა, თანაც დაისვა საკითხი თვით კომპარტიის აკრძალვაზე.

მთელმა პრესამ და, მათ შორის, „ფორვერტსმაც" ყური არ გაიბერტყა ამ ამბავზე. ამ დღიდან ცხადი გახდა, რომ სოციალ-დემოკრატია გულმოდგინეთ ამზადებდა კომპარტიის „დაშლას". სოციალ-დემოკრატიის ცნობილმა მემარცხენე ფრთამაც კი არ დაძრა კრინტი ამ თათბირის წინააღმდეგ.

რამდენიმე დღის შემდეგ ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ, რომელსაც იკვებებიან „სოციალ-დემოკრატიულ პარლამენტა[illegible]ნიშნებით" დაიწყო სისტემატიური კამპანია კომპარტიის წინააღმდეგ.

ამ კამპანიას ჩქარა სათავეში მოექცა „ფორვერტსი"; იგი ყოველ დღე აცხადებდა ყალბ ცირკულიარებს კომპარტიის ცეკისას და უცნაურ ცნობებს იარაღთა საწყობების აღმოჩენაზე. ამავე დროს კი ფაშისტების იარაღის აღმოჩენაზე სდუმდა.

სწორედ „ფორვერტსის" მიერ ყალბი ცირკულიარების დაბეჭდვამ და იარაღის საწყობებზე ლაპარაკმა მისცა საბუთი გენერალ ფონ-სეკტს აეკრძალა კომუნისტური პარტია. თავის განკარგულებაში ამას აშკარად აღნიშნავს თვით გენერალი ფონ-სეკტი.

შეიდემანი ცდილობს მისი გამართლებისათვის.

კომპარტია აკრძალეს, „ფორვერტსმა" მოათავსა მხოლოდ პატარა მორცხვი პროტესტი და მიჩუმდა. მაგრამ რაღა გააკეთა ს.-დემოკრატიის საპარლამენტო ფრაქციამ? თითოოროლა მემარცხენე დეპუტატების გარდა, **ფრაქციის ორ მესამედზედ მეტმა ხმა მისცა კომუნისტების წინადადების წინააღმდეგ,** რომელიც მოითხოვდა პარტიის აკრძალვის მოხსნას. განა შეიძლება ამაზედ აშკარა საბუთების წამოყენება სოციალ-დემოკრატიის გამყიდველობის შესახებ?

მაგრამ ეს მაინც არ კმარა. უნდა სავსებით გამოვამჟღავნოთ საზიზღარი და უბადრუკი როლი ს.-დემოკრატიისა, ამ ეგრედ წოდებულ „მუშათა პარტიისა". როგორც აკრძალვის მეორე დღეს, აგრეთვე შემდეგაც „ფორვერტსი" განაგრძობდა ყალბი ცირკულიარების ბეჭდვას და „იარაღის საწყობების" დასმენას. აგერ წინაზეც ეს ს.-დემოკრატიული გაზეთი მიაქცევდა ყურადღებას ინტელიგენტთა ერთ კრებაზე, რომელიც, მისის აზრით, უნდა ყოფილიყო უეჭველად „კომუნისტური თათბირი".

დღეს ვინღა იტყვის, რომ ერთ დროს თვით ეს პარტია აკრძალულ იყო ბისმარკის ბატონობის დროს?

ეხლა თვალი გადავავლოთ თვით ს.-დემოკრატ მინისტრების მოქმედებას. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სადაც კი მოიპოვებოდნენ ს.-დემოკრატი მინისტრები (განსაკუთრებით ტიურინგიაში და კელნში) ყველაზე ადრე მათ ებრძანათ სისრულეში მოიყვანონ ბრძანება ფონ-სეკტისა, დაეჩხრიკონ კომუნისტების შენობები, რედაქციები და დაბეჭდონ ისინი. მაგრამ ყველაზედ მეტი საზიზღრობა, რომელსაც კი მოვესწარით ჩვენ—ეს არის სევერინგის გამოსვლა პრუსიის ლანდტაგში.

ამ სოციალ-დემოკრატმა მინისტრმა, იმ დროს—როდესაც იმის გადაგდებას მოითხოვდნენ მემარჯვენე ნაციონალისტები, მოაწყო უსასტიკესი იერიში კომპარტიის წინააღმდეგ:

ჯერ იყო და უარი უთხრა ლანდტაგის კომუნისტ დეპუტატის როზა ვოლფშტეინის განთავისუფლებაზე, იგი წინა დღით იყო დაჭერილი მანიფესტაციის დროს. თვით ბურჟუაზიულმა პარტიებმაც კი მისცეს ხმა მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ზევერინგმა უტიფრად განაცხადა, რომ პარლამენტალური ხელშეუხებლობა არ გამოდგება დანაშაულის დასაფარავად (და ეს დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ მონაწილეობა მიიღო მუშათა მანიფესტაციაში!) შემდეგ კი, (ეტყობა ზევერინგს კარგად გაემზადებინა თავისი როლი ღირსეულ შთაბეჭდილების მოსახდენად) გახურებულ კამათის დროს შიგ ლანდტაგში შემოატანინა ის იარაღი, რომელიც წაერთმიათ კომუნისტებისათვის.

რათ აუკრძალვინა სოციალ-დემოკრატიამ კომპარტია?

ყველასთვის ცხადია ის მიზეზები, რომელნიც ასე საზიზღრად ამოქმედებენ სოციალ-დემოკრატიას. მთავრობის მუდმივი კრიზისი, რომელიც პირველ ყოვლისა არის კრიზისი თვით პარლამენტარულ-ბურჟუაზიულ სისტემისა, შეიძლება დამთავრდეს რეიხსტაგის დათხოვნით. ახალ არჩევნებში კი კომუნისტები ხუთჯერ მეტ ხმას მაინც მიიღებენ, ვიდრე ითვლიან ეხლა. რათაც უნდა დაჯდეს—სოციალ-დემოკრატიამ უნდა ჩამოიშოროს ეს სახიფათო მოწინააღმდეგე და ამისათვის მასი „დაშლა" ერთი [illegible]

მეორე მიზეზი კიდევ უფრო საინტერესოა, ვიდრე პირველი: [illegible] ზია ემზადება 8 საათის დღის მოსპობისთვის, ის [illegible] სპობილია. სოციალ-[illegible] წინდაწინვე დარწ[illegible] ბრძოლას წააგებდ[illegible] დათმობისათვის [illegible] შეებორკა კომუნ[illegible] ბული მუშაობ[illegible] ეამს ბურჟუაზ[illegible] კრატიის წინ[illegible]

მესამე მ[illegible] ხასიათისა[illegible] მასსები [illegible] ბა მემარ[illegible] შორის [illegible] მემარ[illegible] ალლო[illegible] რო [illegible] ტების [illegible] რობებ[illegible] აკრძალვა [illegible] ვის შეიძლება არ ნიშნავდ[illegible] ბოლოვე სიკვდილს, მაგრამ, ამის[illegible] სოციალ-დემოკრატები შეასუსტებენ მაინც თავიანთ პარტიის შეურყეველ გახრწნას! უკანასკნელმა სოციალ-დემოკრატიულმა კონგრესმა აუკრძალა მემარცხენე ფრთას—განავითაროს თავისი საკუთარი პროპაგანდა. მემარჯვენე პოლიტიკოსებს ერთობ ჰსურთ მოიშორონ ეს მემარცხენე ფრთა, რომელმაც ლამის არის დაიპყრას მთელი პარტია და რომელიც ალბად დიდ უმრავლესობას მიიღებს მომავალ ყრილობაზე. კომუნისტური პარტიის აკრძალულობა (თითქოს რომელიმ[illegible] კარგულება კლავდეს სამუდამოდ პარტიას!) რჩება სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთა, რომელსაც [illegible] ყრობიან თავიანთ ნებაზე: თუნდა პარტიიდან გამორიცხავენ, თუნდა მოუსპობენ ყოველგვარ საშუალებას მოქმედებისათვის.

ასე ფიქრობენ სოციალ-დემოკრატიის ბელადები.

მაგრამ განსაკუთრებული კანონები კომპარტიის წინააღმდეგ [illegible]

განმეორებით გლეხთა სასახლეზე

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აუარებელი მომართვები მისდის გლეხთა საერთიერთო დამხმარე კომიტეტებისგან იმის შესახებ, რომ ტფილისში იქნას გახსნილი გლეხთა სასახლე.

ბუნებრივად იბადება კითხვა: საიდან წარმოიშვა ეს მოთხოვნილება? რატომ არიან გლეხები დაინტერესებულნი გლეხთა სასახლის მოწყობა-გახსნაში.

ძველი წყობილება დაინგრა ძირიან-ფესვიანად და დამყარდა ახალი; მშრომელ ხალხს მიეცა თვითმოქმედების საშუალება, ე. ი. მშრომელი ხალხი სწავლობს პრაქტიკაზე სახელმწიფოს მმართველობას. ამ სწავლებაში ბევრ შეცდომებს ექნება ადგილი, ეს ცხადია, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს,—ამას გვეუბნება ამხ. ლენინი. შეცდომები გვექნება, სანამ არ ვისწავლით მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ხელმძღვანელობას და მის გაძღოლას, ამაში გულწრფელად უნდა გამოვტყდეთ, ვინაიდან ჩვენთვის უცნობ და უჩვევ საქმეს ვაკეთებთ. მაგრამ შეცდომებს, შედარებით ქალაქებთან, მეტი ადგილი აქვს ადგილებზე, ესე იგი სოფლებში. რატომ აქვს ადგილი ჩვენ მოქმედება-მუშაობას ადგილებზე მეტი შეცდომები? აშკარაა იმიტომ, რომ არა გვყავს საკმარისად გამოცდილი მუშავენი.

ასეთი შეცდომები იწვევს უკმაყოფილებას ამა თუ იმ პირის. შეიძლება შეცდომა სულ არ ყოფილა დაშვებული მთავრობის რწმუნებულის მხრით, მაგრამ ესა თუ ის პირი სცნობს თავის თავს დაზარალებულად, ე. ი. ის ფიქრობს, რომ დაწესებული კანონი არ არის სისწორით გატარებული; აიღეთ მიწის საკითხი და მრავალი სხვა. რა ქნას, როგორ მოიქცეს ასეთი გლეხმა, ე. ი. გლეხი, რომელიც სცნობს, რომ კანონი არ არის კარგათ შესრულებული. ცხადზე უცხადესია, ასეთი გლეხი ეძებს სამართალს, ეძებს ისეთ პირს ან დაწესებულებას, რომელიც მას მოუსმენს გულდასმით და მისცემს შესაფერ დაკმაყოფილებას, ამიტომ მოეშურება ცენტრში, ე. ი. ტფილისში, და სწორედ აქ იწყება მისი ნამდვილი ტანჯვა,—არამც თუ სოფლიდან ჩამოსული გამოუცდელი გლეხი, არამედ თვით ტფილისში მომუშავე ვერ ერკვევა, რომელ დაწესებულებას მიმართოს, რომ საჩქაროდ და სისწორით მიიღოს პასუხი ამა თუ იმ კითხვაზე ან საჩივარზე. [illegible] ლიან სწორედ, რომ სოფლიდან ჩამოსული გლეხი უვარდება ხელში ქუჩის „ადვოკატებს", რომლებიც მას ართმევს კარგ გასამრჯელოს, ხოლო გაკეთებით არაფერს უკეთებს. შორიდან ამოსული და სამართლის მაძიებელი გლეხი დაუკმაყოფილებელი და მასთან ქუჩის „ადვოკატის" მიერ გაძარცული მიდის უკან თვალცრემლიანი და წყევა-კრულვით ქალაქზე და მოქალაქეებზე. აიღეთ მეორე შემთხვევა: გლეხს სოფელში [illegible] ვინმე მახლობელი [illegible] —ცენტრში წაიყვანე, [illegible] ბი არიან და მოარჩენ[illegible] გლეხი ავადმყოფით, მაგრამ რადგან გზა-კვალი არ იცის სად [illegible] უვარდება ხელში [illegible] მორჩენის მაგიერ [illegible] დება-ოხვრით ისევ უკან [illegible] თავისი ავადმყოფით [illegible] რილში ყველა იმ ამოცანების და კითხვების აღწერა, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებულია გლეხთა სასახლის გახსნასთან, ძნელია, მაგრამ ის ორი-სამი მაგალითიც საკმარისია, რომელიც ჩემ მიერ იყო მოხსენიებული ზევით).

რუსეთში დიდი ხანია ამ გარემოებას ანგარიში გაუწიეს და ყურადღება მიაქციეს. ვერ ნახავთ საგუბერნიო ქალაქს, რომ გლეხთა სახლები არ იყოს მოწყობილი. რაც შეეხება წითელ მოსკოვს, იქ რამოდენიმე [illegible] სახლია. მოსკოვში არის [illegible] ცენტრალური გლეხთა სახლი, სხვადასხვა გასართობებით და სამეცნიერო დარგებით. აი აქ იკვრება ნამდვილი, ჭეშმარიტი კავშირი ქალაქის და სოფლის მშრომელთა შორის. ჩვენში, საქართველოში ამ მიმართულებით ჯერ-ჯერობით არაფერი გაკეთებულა, გარდა ბევრი ლაპარაკისა და წერისა. დრო არ ითმენს, დაყოვნება ზარალის მეტს არაფერს შესძენს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. მართალია, ფინანსიურად ცუდ პირობებში იმყოფება ჩვენი სახელმწიფო, მაგრამ ასეთი მიზნისთვის [illegible] და იქნეს გამონახული საჭირო ფული. მშრომელ გლეხებში გლეხთა სასახლის გახსნის იდეა დიდ სიხარულს იწვევს, ამიტომ საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ ამ იდეას ხორცი შეასხას. ყოველივე დაბრკოლება უნდა იქნეს [illegible]. ქალაქ ტფილისში [illegible]ეხთა სასახლის გახსნა-მოწყობა დიდათ შეუწყობს ხელს იმ აუცილებელ ძმურ კავშირს, რომელიც [illegible] უნდა [illegible] გამზ[illegible] ქალაქის [illegible] მშრომელთა შორის.

ვ. მ[illegible]

მიწის კოდექსის ირგვლივ *)

მესამე კვირა მიდის მას შემდეგ, რაც გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნდა მიწის კოდექსის პროექტი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მოუწოდებდა ამხანაგებს და მიწათმოქმედების დარგის მუშაკებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი კოდექსის შესახებ.

მიწის საკითხი და მისი ცხოვრებაში გატარება მეტად რთული და თავსამტვრევი საკითხია. მისი ერთი ხელის დარტყმით და კალმის მოსმით კაბინეთში გადაწყვეტა არ შეიძლება. ეს შესაძლებელია მხოლოდ ცხოვრებიდან მიღებულ გამოცდილე[illegible] და თვით ცხოვრების კარნახით. [illegible]ბჭოთა მთავრობა ასეც მოიქცა. მხოლოდ სამი წლის გამოცდი[illegible] შემდეგ მიუდგა მიწის საკით[illegible] [illegible] ნად გადაწყვეტას; [illegible] ხალხის ფართე მასებს [illegible]ლებას მიეღოთ ფართე [illegible] მის გადაწყვეტაში, [illegible] თავიანთი აზრი, შესწო[illegible]რება და სხვა. [illegible] ხალხმა მიწა [illegible] შეისრულა თა[illegible] [illegible]ვრა, მაგრამ [illegible] არ ფარგლე[illegible] უნდა და[illegible] [illegible] ხელისუფ[illegible] [illegible] მიწის სა[illegible] გარეშე [illegible] გავრცე[illegible] საშუალება და, რომ გლეხებ[illegible] [illegible] გულმოდგინეთ მიჰკიდონ ხელი ნაყოფიერ შრომას.

გადავალ კოდექსის ზოგიერთი მუხლების განხილვაზე, რომელნიც, ჩემის აზრით, მოითხოვენ შესწორებას და დამატებას.

მაგალითად მე-9 მუხლში ნათქვამია: „უფლება მიწით სარგებლობისა სასოფლო მეურნეობის საწარმოებლად ამ კოდიქსით დაწესებულ ნორმებში აქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს (განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა), ვინც მოისურვებს მიწის დამუშავებას საკუთარის შრომით“.

ვაჭრები და მღვდლებიც მოისურვებენ მიწის დამუშავებას საკუთარი შრომით და დაამუშავებენ კიდეც, მაგრამ ამათ, ცხადია, არ მიეცემა ნორმა საფონდო მიწებიდან. ამიტომ საჭიროა ამ მუხლს ჩაემატოს ბოლოში: „რომლის არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა“.

რაც შეეხება ამავე მუხლის შესწორებას ამხ. მესროპოვის მიერ, ესეც არ არის სწორი. იგი სცნობს საჭიროდ შემდეგ შესწორებას: „ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც 1921 წლამდე უწარმოებია მიწის მუშაობა საკუთარის შრომით“.

ამაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ 1921 წლამდე და ამ[illegible] წინადაც [illegible] შრომით ბევრი ისეთი პირი ამუშავებდა მიწას, რომელსაც სასოფლო-მეურნეობასთან საერთო არა ჰქონდა რა, მაგრამ, ვინაიდან სასოფლო-მეურნეობა ერთ დროს კარგ შემოსავლიან წყაროთ იყო გადაქცეული, ამიტომ ბევრმა მუქთა ხორამ მოკიდა ხელი ამ საქმეს, მაგრამ სამუდამოთ კი არა.

დღეს ასეთებით სავსეა ჩვენი სოფლები და რა საჭიროა, ჯერ ისეც მცირე მიწა გამოვართვათ მიწის მუშებს და მივცეთ მათ.

მუხლი 13: „სამხედრო სამსახურში მობილიზაციით ან ჩვეულებრივი წესით გაწვეული, ან საბჭოთა და საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩეული მიწის მუშა არ კარგავს უფლებას სამსახურში ყოფნის დროს მის ხვედრ მიწაზე; გარეთ სამუშაოზე წასვლის დროს კი ასეთი უფლება ენახება მიწის მუშას მხოლოდ სამი წლის განმავლობაში“, და სხ. მიწა თუ სახნავ-სათესია, ან სათიბი და სხვა—ეს შეიძლება, მაგრამ თუ კულტურულად დამუშავებული მამულია, როგორც, მაგალითად, ვენახი, —სამი წლის განმავლობაში მთლად გაპარტახდება და გაოხრდება. ასეთ ვადათ საკმარისია იყოს ორი წელი.

მუხლი 19: ამ მუხლს ჩვენ სავსებით ვიცავთ. რაც შეეხება ამხ. მესროპოვის შესწორებას,—მისაღები არ არის. იგი შემდეგნაირად ასწორებს: „...მიწის მოსარგებლეს ერთი ნორმის ფარგლებში შეუძლია ჰქონდეს მიწა **მხოლოდ ერთ სოფელში** (ხაზი ამხ. მესროპოვისაა); სადაც თვითონ, ან მისი ოჯახი სცხოვრობს“.

ბევრი სოფელია ისეთი, რომელსაც სათიბი, საძოვარი სასიმინდე, ვენახი ან სხვა ორი სამი სოფლის დაშორებულ მანძილზე აქვს, რომელი ნაკვეთებიც შედის სხვა სოფლის, ან თემის ფარგლებში, ხშირად სხვა რაიონის ფარგლებშიაც და განა ასეთი მიწათმფლობელობა დაუშვებელია, მეტადრე იმ უმნიშვნელო მიზეზებით, რომელიც ამხ. მესროპოვს მოჰყავს?

ცხადია—არა. ამიტომ ეს მისი შესწორებაც არ შეიძლება იქმნეს მიღებული, რომ არ გამოვიწვიოთ მიწათმფლობელობის მთელი არევ-დარევა.

მუხლი 24: „უკეთუ მიწის მოსარგებლის უფლება მიწაზე დარღვეული იქნა, ან მისი მეურნეობის საქმეში ვინმე უკანონოთ ჩაერია, სახალხო სასამართლო ვალდებულია, ერთი თვის განმავლობაში დღიდან დარღვევისა მიწის მოსარგებლის თხოვნით, დარღვეულ უფლებაზე თავის არსებითად გადაწყვეტამდე, ფაქტიურად აღადგინოს დარღვეულ მიწის სარგებლობა.

საჭიროა იყოს:... ერთი თვის განმავლობაში დღიდან მიწის მოსარგებლის განცხადებისა და სხვა.

ამ შესწორების [illegible] არის საჭირო, რომ შესაძლოა მიწის მოსარგებლემ ერთ თვემდე ვერ განასაჩივროს და საქმის არსებითად გარჩევამდე კი მან უნდა აღიდგინოს უფლება მფლობელობისა, რომ მოძალადემ მამულში შრომა არაფერი შეიტანოს და ამით საქმე არ გართულდეს.

მუხლი 36: „დაქირავებული შრომით სარგებლობა შრომითი მიწის მოსარგებლეს შეუძლია მხოლოდ იმ პირობით, თუ დამქირავებლის ოჯახის ყველა წევრი თითონ მუშაობს დაქირავებულ მუშასთან ერთად“ და სხვა. ამ მუხლის ცხოვრებაში გატარება შეიძლება საბჭოთა რუსეთში, სადაც ოჯახის ყველა უნარის მქონე როგორც მამაკაცი, ისე დედაკაცი თითქმის ერთნაირად მუშაობენ მიწის დამუშავების და პირნახულის მოწევის დროს.

ჩვენში ასე არ არის, დედაკაცი იშვიათად გადის მინდორში სამუშაოდ.

ეს მუხლი საჭიროა შესწორდეს ასე: დაქირავებული შრომით სარგებლობა **შრომითი მიწისმოსარგებლეს** შეუძლია სასწრაფო, ვადიანი სამუშაოს სეზონში და სხ... **მუხლი 62 და 80:** პირველი მუხლით პირველ კატეგორიაში შედის საეზოვეც და ითვლება ნორმაში, მეორე მუხლი კი (მუხლი 80) გაუგებრობას იწვევს, რადგან ამ უკანასკნელი მუხლით ყველა მოქალაქეს ეძლევა 1200 კვ. საჟენი სამოსახლო, რაც მიწის ნორმაში არ ითვლება. ვთქვათ რომელიმე მოქალაქემ, რომელსაც ნორმის მიღების უფლება აქვს, მიიღო 1200 კვ. საჟენი სამოსახლო, აქედან 200—300 კვ. საჟენი სამოსახლოთ გამოიყენა—სახლი ააშენა ზედ, დანარჩენი დაიტოვა საეზოვეთ. ეს საეზოვე ადგილი მას 62 მუხ. ნორმაში ეთვლება, მე 80 ცე მუხლით კი არა.

ამიტომ საჭიროა საეზოვე არ შევიდეს 62 მუხლში და საეზოვე და სამოსახლო 1200 კვ. საჟ. დარჩეს ნორმის გარეშე

მუხლი 64: ამ მუხლით საშუალო ოჯახს (3—5 სულამდე) ეძლევა, ან ეტოვება ნორმაში 4 დესეტინა პირველი კატეგორიის მამული. პირველ კატეგორიაში შედის ვენახიც და ცხადია, რომ 4 დესეტინა ვენახის დამუშავება არა თუ საშუალო ოჯახს შეუძლია, დიდ ოჯახსაც არ შეუძლია, თუნდ ამ ოჯახში 4—5 მარჯვე მუშა ხელიც იყოს.

ამას ანგარიში გაუწია სიღნაღის მაზრის საბჭოთა პირველმა ყრილობამ და ყოფილ მესაკუთრეთ გადაუწყვიტა ნორმაში 2 დეს. ვენახი, როგორც პირველი კატეგორიისა და ეხლა, რომ მთელი არევ-დარევა და გაუგებრობა არ მოხდეს, საჭიროა იქნეს შეტანილი შემდეგი შესწორება: ყოფილ მიწის მესაკუთრეთ, რომელთაც რეფორმის დარტყმითი წესით გატარების დროს ჩამოერთვათ ნორმაზე მეტი და 64 მუხლით დაკანონებული ნორმა არ დაეტოვათ, შეევსებათ ის თავისუფალ საფონდო მიწებიდან.

მუხლი 85: „სოფლის მეკომურეთა ერთ მესამედს შეუძლია ითხოვოს სოფლის ახალ პლანზე მოწყობა და სხვა ადგილებზე გადატანა და სხვა.

საჭიროა იყოს: სოფლის მეკომურეთა ორ მესამედს შეუძლია ითხოვოს სოფლის ახალ [illegible]ნზე მოწყობა და სხვ.

როგორც ყველა[illegible] საჭიროა ეს საკითხიც უმრავლესობის სურვილით სწყდებოდეს, რაც [illegible] კანონიერ დავას არ გამოიწვევს დანარჩენ ერთი მესამედის მხრივ.

მაშასადამე, მიწის საკითხის გადაჭრის დროს, რომელიც [illegible] ვიბდა გლეხობას, საბ[illegible] უფლებამ გამონახა ყვე[illegible] სწორი და ერთად-ერთი [illegible]ლი გამოსავალი; გაუქ[illegible] კუთრება მიწა[illegible] [illegible] ვა-გაყიდვა და [illegible] ხადა იმათთვის, ვისაც [illegible] მით უმუშავებია და [illegible] მისი დამუშავება.

ამ კოდექსით ბოლო ეღება [illegible]სულის ყველა ნაშთებს, ბატონყ[illegible] ჩაგვრის და ძალადობის ყველა ნა[illegible]თებს.

ვეფხო აკობაშვილი.

---

*) სადისკუსიო.

მიწის კოდექსის გამო *)

ამა წინეთ გამოქვეყნებულ მიწის კოდექსის პროექტში საჭიროა ჩვენის აზრით შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი. კოდექსის მე-26 მუხლში აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ მიწის იჯარით გაცემის უფლება ექნეს მხოლოდ ისეთ მოსამსახურეებს და წითელარმიელებს, რომელთა ოჯახში მუშა ხელი სრულებით არ მოიპოვება. კოდექსის მე-67 მუხლის შესახებ შევნიშნავთ შემდეგს: თუ ზოგიერთ საბჭოთა მოსამსახურეებს ეძლევათ მხოლოთ ნახევარი ნორმა, მით უფრო მეტად უნდა იქნას შეზღუდული ვაჭართა, მოიჯარადრეთა და სასულიერო წოდების უფლება მიწის ნორმის განსაზღვრის [illegible] სახით 81 მუხლისა გავრცელდეს მხოლოდ უკანასკნელებზე.

რაც შეეხება საძოვრებით სარგებლობას, ღარიბესი და საშუალო შეძლების გლეხობა საკუთარ საქონელზე საბალახო გადასახადისაგან სრულებით განთავისუფლებულ უნდა იქნას.

კომუნალური ხასიათის მეურნეობა განთავისუფლებულ იქნან მიწის ჩამორთმევისაგან, ვინაიდან რამოდენიმე წლის განმავლობაში ასეთი ამხანაგობა და შემადგენლობა სულობრივად თავისთავად გაიზრდება,—მიწის ჩამორთმევის შიში კი ხელს შეუშლის ასეთ კომუნების დაარსებას და მათ მოწყობას.

საჭიროა პროექტში აღნიშნულ იქნას, რომ საწისქვილო ადგილები გადაირიცხებიან სახელმწიფო [illegible] ამხანაგობებზე მისაცემათ, კერძო [illegible] შეიძლებოდეს წისქვილების მოსაწყობათ ამ ადგილების იჯარით გაცემა.

ხარაგოულის რაიაღმასკომის პრეზიდიუმი.

---

*) სადისკუსიოთ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობა

ყრილობის გახსნა

30 დეკემბერს, საღამოს 6 საათ ნახევარზე. სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოთა ყრილობას ამხ. მიხა ცხაკაია გახსნილად აცხადებს.

გრიალებს ტაში და ინტერნაციონალი.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

ვიდრე ყრილობა პრეზიდიუმს აირჩევდეს, მოკლე სიტყვას ამბობს ამხ. მიხა ცხაკაია. იგი უმთავრესად ეხება საქართველოს უკანასკნელი ექვსი წლის ისტორიას, რომელსაც სამ პერიოდათ ჰყოფს. პირველი ხანა შეიცავს კომ. პარტიის თავდადებულ ბრძოლას საქართველოს გასაბჭოებისათვის, ბრძოლას, რომელიც წითელი არმიის დახმარებით დაგვირგვინდება მშრომელი ხალხის ორგულთა და გამყიდველთა განდევნით და მუშათა ხელისუფლების დამყარებით.

მეორე პერიოდი არის რევოლიუციონური კომიტეტის მოქმედების დრო, როდესაც ახლად დამყარებულ ხელისუფლებას უხდებოდა რევ. ბრძოლა მოპოვებული თავისუფლების უზრუნველყოფისათვის, რევოლიუციონური წესრიგის განმტკიცებისათვის.

.საბჭოთა საქართველოს ცხოვრების მესამე და უკანასკნელი პერიოდი შეიცავს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, რომელიც იწყება სრულიად საქართველოს პირველი ყრილობიდან და გრძელდება დღემდე.

ეს პერიოდი მდიდარია და მნიშვნელოვანი თავისი შინაარსით: ამ ხანაში შეიქმნა და ჩამოყალიბდა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია, საქართველო დაუკავშირდა ამიერ-კავკასიის ერებს და მათთან [illegible]თის სხვა ერებთან ერთად შექმნა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირი, რომელიც წარმოადგენს რისხვას ძველი ქვეყნების ბურჟუაზიისათვის და ამავე დროს არის მთელი ქვეყნის მშრომელთა დასაყრდენი.

შემდეგ ორატორი ეხება იმ საკითხს, თუ როგორი პირობები ჰქონდა ამ დიდ აღმშენებლობითი მუშაობისათვის საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას—შინ და გარეთ

საქართველოს გასაბჭოება მოხდა სწორედ იმ დროს, როცა კაპიტალისტური ევროპა ხელს იღებს საბჭოთა რუსეთის მიმართ შეიარაღებულ თავდასხმაზე და მასთან შესარიგებლად აწყობს მთელ რიგ კონფერენციებს (გენუა, ჰააგა), რომელზედაც მორიგება არ მოხერხდა. მიუხედავად ამისა საბჭოთა კავშირი პოლიტიკურად და ეკონომიურად [illegible]დება და [illegible] ევროპის [illegible]კის ყველა ქვეყნებ[illegible] საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობა დღის წესრიგში დგას. ეს არის საბჭოთა კავშირის სრული გამარჯვება საგარეო ფრონტზე.

მეორე მხრივ, საქართველოს გასაბჭოება ხდება სწორედ იმ დროს, როცა საბჭოთა რუსეთი დგება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გზაზე. საბჭოთა საქართველოს არ გაუვლია სამხედრო კომუნიზმის ხანა და იგი გასაბჭოებისთანავე მოჰყვა ახალი ეკონომიური პოლიტიკის წრეში. ახ. ეკომ. პოლიტიკამ გამოიღო დიდი ნაყოფი; აღორძინა საბჭოთა ქვეყნები ეკონომიურად, მაგრამ უკანასკნელად მან (ახ. ეკ. პოლ.) მიიღო მახინჯი ფორმები, რაც ე. წ. „მაკრატელის“ წარმოშობაში გამოიხატება. მსოფლიო მეურნეობის პროდუქტების ღირებულებას, რაც უმთავრესად აიხსნება სოფლის მეურნეობის დიდი, ხოლო მრეწველობის ნაკლები ნაყოფიერებით.

საბჭოთა ხელისუფლების მთავარ ამოცანას შეადგენს სწორედ ამ პრობლემების,—„მაკრატელის“ დაშორებული ნაწილების შეერთება, ქალაქის და სოფლის დაახლოვება-დაკავშირება.

დასასრულ ორატორი გამოსთქვამს ურყევ რწმენას, რომ საქ. საბჭოთა მეორე ყრილობა შესძლებს ამ პრობლემის და სხვა მნიშვნელოვანი საჭირბოროტო საკითხების გადაჭრას. საბჭოთა საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის საკეთილდღეოდ. (ტაში და ინტერნაციონალი).

პრეზიდიუმის არჩევა

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვის რუსულად გამეორების შემდეგ ყრილობა იღებს კომფრაქციის სახელით ამხ. ივანოვ-კავკასიელის მიერ წარმოდგენილ პრეზიდიუმის კანდიდატთა სიას. პრეზიდიუმში არჩეული არიან 29 ამხანაგი: მიხა ცხაკაია (თავმჯდომარე), ორჯონიკიძე, ორახელაშვილი მამია, მახარაძე ფილიპე, ელიავა, გეგეჭკორი, სტურუა ვანო, ქართველიშვილი, კახიანი, ლომინაძე, სუხიშვილი, ლაკობა, ხიმშიაშვილი ჯატიევი, მამულია, დოლიძე, ლორთქიფანიძე, წულუკიძე პარმენ, ქურდაძე, შაბანოვი, იუსუფ ბერიძე, ელენტი თენგიზი, ფარნიევი, გედევანიშვილი, დავითიანი, პაპიაშვილი, მელაძე და ქეიშვილი.

საპატიო თავმჯდომარეებათ ყრილობა ირჩევს ამხ. ამხ. ლენინს, ტროცკის, ზინოვიევს, სტალინს, კალინინს და კლარა ცეტკინს.

სამანდატო კომისიაში არჩეულნი არიან: ამხ. ამხ. ყურულაშვილი, ივანოვ-კავკასიელი, კოსტანიანი, ტალახაძე, სულავა, გვარამიშვილი და შონგირაძე.

სამდივნოში არჩეული არიან: ამხ. ამხ. საბაშვილი, სვანიძე, ბედია, გობეჩიშვილი, მათუაშვილი.

სარედაქციო კოლეგიაში ამხ. ამხ. ნ. კიკნაძე, პ. საყვარელიძე, დევდარიანი გ. რუბენი, და სუტირინი.

მისალმებანი

დღის წესრიგის და რეგლამენტის მიღების შემდეგ, ყრილობას ესალმებიან სვანეთის ყრილობის წარმომადგენელი ამხ. **დადეშქელიანი**, წითელი აჭარისტანის გლეხი-დეპუტატი **იუსუფ ბერიძე**, გორის მაზრის გლეხი-დეპუტატი **მელაძე**, დუშეთის წარმომადგენელი გლეხი-დეპუტატი ამხ. **ჩხეტიაშვილი** და [illegible] წარმომადგენელი ამხ. **მახკეტი**.

ყველა ზემოხსენებული ამხანაგები ახასიათებენ თავიანთი კუთხეების მდგომარეობას წინად და ახლა. ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რამდენად გაუმჯობესდა საბჭოთა ხელისუფლების დროს გლეხკაცის უფლებრივი მდგომარეობა, რა დიდი აღმშენებლობა სწარმოებს თვითეულ კუთხეში.

ყრილობა დიდი გულისყურით ისმენს გლეხი-დეპუტატების მარტივ სიტყვებს და ხანგრძლივი ოვაციებით აჯილდოებს მათ.

ამხ. ეგოროვის სიტყვა.

დასასრულ ყრილობას ესალმება კავ. წითელდროშოვანი არმიის სახელით ამხ. ეგოროვი, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს.

იგი ყრილობას აცნობს ამ დიდ მუშაობას, რომელიც დღეს სწარმოებს საქართველოს წითელი ლაშქრის სარეორგანიზაციოდ და გადასახალისებლად.

ამხ. ეგოროვის სიტყვის შემდეგ ყრილობის სხდომა წყდება.

ყრილობა ისმენს აზერბეიჯანის ცაკის დეპეშას, სადაც იგი უსურვებს საქ. საბჭ. მეორე ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

მეორე სხდომა.

სხდომა იწყება დილის 11 საათზე. თავმჯდომარეობს ამხანაგი ვანო სტურუა. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. შალვა ელიავას.

ამხ. შალვა ელიავას მოხსენება.

ვიდრე მთავრობის მოქმედების საერთო დახასიათებაზე გადავიდოდეს, მომხსენებელი იძლევა საერთო სურათს საბჭოთა კავშირის და კერძოთ საქართველოს შინაური და საგარეო მდგომარეობისას, რომელსაც მომხსენებლის აზრით, განსაზღვრავს ერთი მხრივ უცხო სახელმწიფოთა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, და მეორე მხრივ სხვადასხვა ბურჟუაზიული ქვეყნების ერთი მეორესთან დამოკიდებულება.

უპირველესად მომხსენებელი ჩერდება გერმანიაზე, რომელიც ამ ჟამად გადაქცეულია ორი დიდი იმპერიალისტური ქვეყნის ინგლისის და საფრანგეთის უთანხმოების საგნად და დაკარგული აქვს საკუთარი აქტიური პოლიტიკის წარმოების უნარი.

ანტანტა, როგორც ერთი საგარეო პოლიტიკის მატარებელი, დღეს არ არსებობს. ანტანტას უკვე გამოეთიშა დიდი ხანია იტალია, რომელიც საფრანგეთის წინააღმდეგ ესპანიას უთანხმდება. ინტერესთა ეს წინააღმდეგობა მოკავშირეთა შორის ამაგრებს საბჭოთა კავშირის მდგომარეობას ევროპაში, რომელიც დღეს სდგას საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის აუცილებლობის წინაშე.

პოლონეთმა უკვე იცნო საბჭოთა რუსეთი, ხოლო საფრანგეთში დიდი ბრძოლა სწარმოებს სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებს შორის საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო. კონსერვატორების დამარცხება და ლიბერალთა და მუშათა პარტიის გამარჯვება ინგლისში მომასწავებელია იმის, რომ ამ სახელმწიფოს მიერ საბჭოთა კავშირი ახლა მომავალში ნაცნობი იქნება. გაცხოველებული კამათი ამერიკის პარლამენტში საბჭოთა კავშირის შესახებ, უკვე მაჩვენებელია იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი შე[illegible] მომწიფებულია. ასეთივე მდგომარეობაა იტალიაშიც, რომელიც ამ მხრივ უფრო აქტივობას იჩენს. შორეულ აღმოსავლეთში, სადაც უდიდეს აქტიურ როლს თამაშობდა იაპონია, რომლის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება იქ მომხდარ მიწის ძვრის გამო საგრძნობლად შეირყა, საბჭოთა კავშირის მდგომარეობა შესამჩნევად განმტკიცდა და გაძლიერდა. ახლო აღმოსავლეთში კვლავ გრძელდება ოსმალეთთან მეგობრული ურთიერთობა და არაა არავითარი საფუძველი ვაფიქროთ, რომ იგი შეირყევა.

თანდათანობით და დღე-დღეზე მტკიცდება ეკონომიური კავშირი [illegible]თან. ავღანისტანი, მიუხედავად ინგლისის [illegible]ტუმისა, კვლავ მეგობრულად არის განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ და ეს კეთილმეზობლური დამოკიდებულება შემდეგში უფრო განმტკიცდება. ასეთია საერთო სურათი საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობის.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობას აქ უმთავრესად მთავრობის ყურადღებას იპყრობს ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, რომლის სიმძიმის ცენტრს და ამჟამად „მაკრატლის“ პრობლემა წარმოადგენს. ამ საკითხის მიზანშეწონილად გადაჭრა, სავაჭრო [illegible] გადათვალიერება, სინდიკატების მონოპოლიური მდგომარეობის გადასინჯვა—ეს არის საბჭოთა ხელისუფლების გადაუდებელი ამოცანა. ამ მიმართულებით უკვე ტარდება მთელი რიგი ღონისძიებათა, როგორიც მაგალითად იაფ-ფასიანი სასოფლო სამეურნეო კრედიტის გაცემა გლეხობისათვის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (პურის) [illegible] ზიდვა და სხვა. ეს ღონისძიებანი აუცილებლად გადასჭრიან „მაკრატელი“-ს პრობლემას.

საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის დახასიათების შემდეგ მომხსენებელი გადადის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის განხილვაზე და იმ აღმშენებლობის დახასიათებაზე, რომელიც ამ ორი წლის განმავლობაში სწარმოებდა.

საბჭოთა აღმშენებლობისთვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ ანტი საბჭოთა პოლიტიკური პარტიები, რომელნიც სხვა და სხვა კომბინაციებით სცდილობდნენ მუშათა ხელისუფლების დამხობას. ხელისუფლების უმთავრესი მიზანი იყო მოსპობა ამ დაბრკოლებების და მისი მეცადინეობით [illegible] ფრთხე სავსებით [illegible]ლებულია, აღმო[illegible]ზმი, რომლის ნაშთები საშიშ პოლიტიკურ ძალად უკვე აღარ ჩაითვლებიან.

უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო აგრეთვე აგრარული რეფორმის რადიკალური გატარება, რომელიც დღეს სავსებით დამთავრებულად ჩაითვლება.

წარსულ რევოლიუციონურ ხანაში სახ. კომ. საბჭომ მემკვიდრეობით მიიღო ძალზე გაბერილი აპარატი, რომლის განმარტივება და რეორგანიზაცია აუცილებლად საჭირო იყო რესპუბლიკის ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობის ასაღორძინებლად და განსამტკიცებლად.

ეს აპარატი ამჟამად უკვე სავსებით გაწმენდილი და გამარტივებულია.

მთავრობის მოქმედებათა [illegible] დახასიათების შემდეგ მომხსენებელი გადადის ცალკე უწყებათა კომისარიატების მუშაობათა მიმოხილვაზე [illegible] იძლევა სრულ სურათს საქ. [illegible] საბჭოს მოქმედებისას სახელმწიფო მშენებლობის ყოველ დარგში.

ამხ. ელიავას შემდეგ მოხსენება საბჭოთა აჭარისტანზე კით[illegible] ამხ. თახსუმ ხიმშიაშვილი.

დაწვრილებით ანგარიში შემდეგ ნომერში.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

გერმანიის მთავრობის „უკმაყოფილება“
საფრანგეთმა არ შეიწყნარა გერმანიის „ლოიალობა“

რეაქციის „გულუხვობა“: მთავრობამ პროკურორს გადასცა პასუხისგებაში მისაცემად სოციალ-დემოკრატიული გაზეთების რედაქტორები, რომლებმაც „იწინასწარმეტყველეს“ ჰიტლერის აჯანყება.

მთავრობის „საყვედური“: მთავრობის ოფიციოზი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საფრანგეთი მხედველობაში არ ღებულობს გერმანიის მთავრობის „ლოიალობას“ და განაგრძობს ძველ, მკაცრ პოლიტიკას.

კომუნისტების გამარჯვება: ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა კომიტეტის არჩევნებში გაიმარჯვეს კომუნისტებმა.

ისევ ძველი საკითხი: საქსონიის სოციალ-დემოკრატია ხელახლა იხილავს საკითხს კოალიციონური მთავრობის შედგენის შესახებ.

რეაქციის „გულუხვობა“

ბრალდება სახელმწიფოებრივ ღალატში.

ბერლინი. 29 დეკემ. გერმანიის უზენაესმა პროკურატურამ ბავარიის მთავრობის წინადადებით აღძრა სოციალ დემოკრატიულ გაზეთის „ფრანკფურტერ ფოლკსშტიმმეს“ რედაქტორის კვინტის საქმე, რომელიც ბრალად ედება სახელმწიფოებრივი ღალატი ჰიტლერის მუტჩის შესახებ წერილის დაბეჭდვის გამო.

უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა.

ბერლინი. 29 დეკემ. გერმანიის მთავრობამ ვეიმარში გაგზავნა კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ტიურინგიის მთავრობის მოქმედება. კომისიის ანგარიში გადაწყვეტს საკითხს ტიურინგიაში საიმპერიო კომისარის გაგზავნის შესახებ. „ფორვერტს“-ი და „ბერლინერ ტაგებლატი“ აღნიშნავენ, რომ გერმანიის მთავრობა კონტროლს უწევს მხოლოდ სოციალისტურ მთავრობებს და ის ვერ ბედავს კონტროლი გაუწიოს ბავარიის მთავრობას, რაც უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა.

სამუშაო დღის გადიდება.

ბერლინი. 29 დეკემ. ბურჟუაზიულ პრესის ცნობით, სამუშაო დღე გადიდებულია ყველა საწარმოებ[illegible] და წესებულებებში. გაზეთები იუწყებიან, რომ დეკემბრის მესამე კვირის განმავლობაში რურში ნახშირის ამოღება 25 პროცენტით გაიზარდა.

წინადადება გერმანიის კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ.

ბერლინი. 29 დეკემ. ბავარიის მთავრობამ აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ ახლო მომავალში ის წარადგენს მემორანდუმს ფედერაციის პრინციპის მიხედვით გერმანიის კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ.

კომუნისტების გამარჯვება

მუშა-მოსამსახურეების ხმა.

ბერლინი. 29 დეკ. ჰამბურგში ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კომიტეტის არჩევნებში კომუნისტების სიამ მიიღო 3.000 ხმა, სოციალ-დემოკრატების სიამ კი—50.

მთავრობის „საყვედური“

გადამწყვეტი ბრძოლის წინ.

ბერლინი. 29 დეკემბერი. შტრეზემანის გაზეთი „ცაიტ“-ი ხაზგასმით აღნიშნავს: „ეხლა უკვე ირკვევა მოლაპარაკებიდან, რომ საფრანგეთის მთავრობას არ სურს განიხილოს საკითხი რეინის და რურის შესახებ გერმანიისათვის მისაღებ პირობებში და განზრახული აქვს ეს ოლქები ისე განიხილოს, თითქოს მათ არ ჰქონდეთ კავშირი გერმანიასთან“. გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობა იძულებული იქნება დაიწყოს გადამწყვეტი ბრძოლა რურში, რეინში და პფალცში თავისი უფლებების აღსადგენად.

ისევ ძველი საკითხი

საკითხი საქსონიის კოალიციონურ მთავრობის შესახებ.

ბერლინი. 29 დეკემ. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საქსონიის ორგანიზაციები ილაშქრებენ კოალიციის წინააღმდეგ დემოკრატებთან, მაგრამ პარტიის პრეზიდიუმი მომხრეა კოალიციონურ მთავრობის. საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საკითხის შესახებ გამოიტანს პარტიული ყრილობა, რომელიც მოწვეული იქნება 6 იანვარს. „ფორვერტს“-ში მოთავსებულ წერილში დიტმანი აღნიშნავს, რომ საქსონიის ზოგიერთი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები აკრიტიკებენ ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკას უფრო მკაცრად, ვიდრე კომუნისტები.

გერმანიის ამბების გამოძახილი

80,000 ბელგიელის პროტესტი.

ბერლინი. 23 დეკემ. 80,000 ბელგიელმა, რომლებიც ომის დროს წაყვანილი იქნენ გერმანიაში იძულებით სამუშაოზე, აღძრეს პროტესტი გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ. პროცესს აწარმოებს გერმანია-ბელგიის სამედიატორო სასამართლო.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

შვეციაში: სვენ გედინმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე იყო მეფის მთავრობა. ის მოითხოვს საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას.

ამერიკაში: 4 იანვარს სენატის საგარეო საქმეთა კომისია იწვევს კომისიას, რომელიც განიხილავს საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს.

სენატ[illegible]ორა განაგრძობს კამპანიას საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ.

სამ[illegible]ში: ვრანგელი მიდის ჩეხო-სლოვაკიიდან, რადგან მოელის, რომ ამ დღეებში დაიწყება ნორმალური ურთიერთობა [illegible]თა კავშირსა და სამხრეთ-სლავიას შორის.

ამერიკაში

ხამართლობის [illegible]ათი მაგალითი

[illegible] 30 დეკემ. სენატორი [illegible] ტამიზში“ [illegible] [illegible] საბ[illegible]თა მთავრობის [illegible] მოკავშირეებს მოქმე[illegible] [illegible] გზებრივ ურთიერ[illegible] [illegible] და წინდაუხე[illegible]დობის მაგალითად. ბორას აზრით, ინგლისის შემდეგ ამერიკის საიმედო მოვალეთ ითვლება რუსეთი. ბორა ფიქრობს, რომ რუსეთთან უშუალო ვაჭრობას ხელს შეუწყობდა ამერიკელ ფერმერებს და მრეწველებს და გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას იმის გამო, რომ რუსეთთან [illegible]ების ვაჭრობა სწარმოებს ევროპიელ შუამავლების, უმთავრესად, ინგლისელების საშუალებით.

რუსეთ ამერიკის ურთიერთობის საკითხის განხილვა.

ნიუ იორკი. 29 დეკემ. სენატის გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლოჯი 4 იანვარს **იწვევს კომისიის სხდომას რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის საკითხის, კერძოდ ბორას რეზოლიუციის განხილველად.** ირკვევა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს არ მოეპოვება ახალი ბრალდებები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პრესის წარმომადგენელთა ცნობით, ლოჯს განზრახული აქვს გამოარკვიოს საკითხი იუზის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტების სინამდვილის შესახებ და კვლევა-ძიება მოახდინოს „მუშათა განათლების“ კომისიის საშუალებით და ბორას თავმჯდომარეობით.

ინგლისში

მუშათა პარტიის პოზიცია.

ლონდონი. 28 დეკემბერი. არაოფიციალურ ცნობების თანახმად, მუშათა პარტიის პოზიცია საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში გამოიხატება შემდეგში:

ინგლისი სცნობს საბჭოთა მთავრობას და თავის პრინციპიალურ პასუხისმგებლობას იმ ზარალისათვის, რომელიც მიაყენა რუსეთს ინტერვენციამ. საბჭოთა კავშირის მთავრობამ კი პრინციპიალურათ უნდა იცნოს რუსეთის ძველი ვალები; ამასთანავე საბჭოთა კავშირმა მონაწილეობა უნდა მიიღოს შერეულ კონფერენციაში, რომელმაც უნდა განიხილოს კერძო პრეტენზიები.

იაპონიაში

საბჭოთა კავშირის ცნობა აუცილებელია.

ნიუ-იორკი. 26 დეკ. ფილადელფიის ერთ-ერთ გაზეთის კორესპონდენტის ცნობით, იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს მრჩეველმა კომურამ განაცხადა, რომ **იაპონიას სურს განაახლოს რუსეთთან ურთიერთობა და გადაწყვიტოს საკითხი საბჭოთა მთავრობის ცნობის შესახებ.** კომურამ მწუხარებით აღნიშნა დაირენში და ჩან ჩუნში წარმოებულ მოლაპარაკების შეწყვეტა და განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობა ეძებს საბაბს ახალ კონფერენციის გამართვისათვის, რომელიც საშუალებას მისცემს მთავრობას იცნოს საბჭოთა კავშირი.

რუმინეთში

სავაჭრო კავშირს მოჰყვება პოლიტიკური კავშირიც.

ოდესა. 31 დეკემ. ოდესაში ჩამოსულ რუმინეთის დელეგაციის თავმჯდომარემ კრისტოდოროსკომ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ **სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენა სასარგებლოა ორივე ქვეყნებისათვის და ის ხელს შეუწყობს საერთო პოლიტიკურ ურთიერთობათა აღდგენას რუმინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.** რუმინეთის სავაჭრო წრეებს ხელსაყრელად მიაჩნიათ ურთიერთ სავაჭრო კავშირის დამყარება ორივე ქვეყნებს შორის.

შვეციაში

საბჭოთა კავშირი ძლიერია

სტოკჰოლმი. 29 დეკემბ. სვენ გედინმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ხაზს უსვამს, რომ **საბჭოთა ხელისუფლება გაცილებით ძლიერია, ვიდრე დღემდის.** სვენ გედინი აღნიშნავს, რომ **საბჭოთა მთავრობას, წინააღმდეგ მეფის მთავრობისა, არ აქვს აგრესიული გეგმები** შვეციის წინააღმდეგ და მოითხოვს საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას.

სამხრეთ-სლავიაში

ვრანგელი გაურბის საბჭოთა რუსეთის აჩრდილს.

ვენა. 29 დეკ. სამხრეთ-სლავიისა და საბჭოთა [illegible]ის შორის ურთიერთობის განახლების საკითხის განხილვის გამო, სამხრეთ-სლავიაში გავრცელდა ხმები, რომ ვრანგელი ახლო მომავალში გაემგზავრება ამერიკაში.

საფრანგეთ-ჩეხიის ხელშეკრულება

საფრანგეთს და ჩეხო-სლოვაკიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ურთიერთ ვალდებულებას გერმანიაში და ავსტრიაში მონარქიის აღდგენის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების საკითხზე.

ავსტრიაში ფიქრობენ, რომ საფრანგეთ-ჩეხიის ხელშეკრულება უფრო გაამწვავებს დამოკიდებულებას პოლონეთს და ჩეხო-სლოვაკია შორის.

გერმანიის პრესა გამოსთქვამს შიშს, რომ ხელშეკრულება გერმანიის წინააღმდეგ არის მიმართული.

ხელშეკრულების შინაარსი.

პრაღა. 29 დეკემ. ბენეშმა დაამთავრა პარიზში მოლაპარაკება საფრანგეთ-ჩეხიის ხელშეკრულების შესახებ. გამომუშავებულია ხელშეკრულების უკანასკნელი რედაქცია. ხელშეკრულების ტექსტი გამოქვეყნებული იქნება იმის შემდეგ, რო[illegible] მას ხელს მოაწერენ ორივე ქვეყნის წარმომადგენლები. **ხელშეკრულება ამყარებს თავდაცვითი კავშირს ორივე სახელმწიფოთა შორის და შეიცავს ურთიერთ ვალდებულებებს, ჩეხო-სლოვაკიასა და საფრანგეთის მხრით, ავსტრიაში და გერმანიაში გაბსბურგების და ჰოგენცოლერნების რესტავრაციის და ავსტრიის გერმანიასთან შეერთების ცდის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების შემდეგ მტკიცდება კავშირი საფრანგეთისა და ჩეხო-სლოვაკიის გენერალურ შტაბებს შორის.**

ბენეში საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებს ეთათბირა აგრეთვე სარეპარაციო, უნგრეთის და რუსეთის საკითხების შესახებ.

„ხაგი მთელი ევროპისათვის“.

პარიზი. 29 დეკემ. გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა ბენეშის პარიზიდან გამგზავრების შესახებ მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ.

ოფიციალური პრესა ესალმება შეთანხმებას და ხაზს უსვამს, რომ ის მიმართული არ არის არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპაში, არამედ მიზნად აქვს ხელი შეუშალოს გაბსბურგის და ჰოგენცოლერნების დინასტიის აღდგენას. **ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ურთიერთ თანამშრომლობა ევროპის ეკონომიურად აღსადგენათ და არ წარმოადგენს სამხედრო კონვენციას.**

შეთანხმებაზე ხელის მოწერას მოელიან იანვრის მეორე ნახევარში.

„მატენ“ სწერს: „ბენეშის [illegible] ჩეხო-სლოვაკია და საფრანგეთ[illegible] უძლიათ [illegible] [illegible] მთავრობას, [illegible] გარეშეა, [illegible] ნობს საბჭოთა რუსეთს [illegible] გაზეთი უმატებს, რომ საფრანგეთ[illegible] აზრი ამ საკითხში გამო[illegible] არისო.

ხაგი თუ ახალი ომი[illegible]

ვენა. 29 დეკემ. ვენის [illegible] კურ წრეებში ფიქრობენ, [illegible] [illegible]რანგეთ-ჩეხიის ხელშეკრ[illegible] [illegible]რო გაამწვავებს დამოკ[illegible] პოლონეთსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის.

გერმანია ცეცხლის [illegible]

ბერლინი. 29 დეკ. [illegible] საფრანგეთ-ჩეხიის ხელშეკრულებას [illegible] **გერმანიის პრესა გამოსთქვამს [illegible] რომ ხელშეკრულება გ[illegible] წინააღმდეგ არის მიმართუ[illegible]**

„ფორვერტსი“ პროტესტს [illegible] ხელშეკრულების იმ მუხლის [illegible] რომლითაც გათვალისწინებულია ჩეხო-სლოვაკიის და საფრანგეთის შეთანხმებული გამოსვლა ჰოგენცოლერნების დინასტიის აღდგენის ცდის წინააღმდეგ. „ფორვერტსი“ ხაზს უსვამს, რომ ეს საკითხი [illegible]მანიის შინაური საკითხი არის.

სხვა გაზეთები მიუთითებენ, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს ცდას საფრანგეთის მხრივ გამოვიდეს განცალკევებული მდგომარეობიდან. [illegible] ახასიათებენ საფრანგეთის ცდას დაუახლოვდეს საბჭოთა რუსეთს.

„ცენტრის ორგანო „გერმანია“ გამოსთქვამს აზრს, რომ ჩეხო-სლოვაკია შეიქმნება ცენტრი [illegible]

ტფილისის საბჭოს გახსნა

დეკემბერს მოხდა ტფილისის მე მოწვევის საბჭოს საზეიმო გახ

ხელმწიფო ოპერის დიდი დარ სავსეა დეპუტატებით. ფაბრიკანების კომიტეტების და ადგილბის წევრებით გაჭედილია ლოდა აივნები მეორე და მესამე ესების.

ენტრალურ საარჩევნო კომისიის ლით სხდომას ხსნის ამხ. გ. უუაშვილი.

ამფრაქციის წინადადებით პრეიუმში ირჩევენ შემდეგ ამხანაგებს: ცხაკაიას, ორჯონიკიძეს, ფი მახარაძეს, ლადო სუხიშვილს კახიანს და სხვ.

ისალმებების შემდეგ ცენტრალუ საარჩევნო კომისია აკეთებს მოხებს წინანდელი მოწვევის ტფიის ალმასკომის მუშაობის შესახებ, ო ამის შემდეგ საბჭოს და ალომის თავმჯდომარეთ ერთხმად სულოვანი ტაშის ცემით ირჩე კვლავ ამხ ლადო სუხიშვილს.

ამდეგ ალმასკომის წევრებათ ერთ ირჩევენ 50 ამხანაგებს: ადამიძეს, აზრუმელაშვილს, -ტაგი ზადეს, აფანასიევს, ბოლეს, ვარძიელს, ვართაპეტიანს, აშაკიძეს, გაგნიძეს, ი. გალპაბ გეგეჭკორს, გელაშვილს, თ. ნტს, ლ. ლოლობერიძეს, ა. გოლდს, ჯაფარიძეს, ს. ჯულელს, ძეს, ჟუკოვს, ივანოვ-კავკასკის, ამაშვილს, იტრიევს, თაქთაქის, მ. კახიანს, ქაცარავას, კუზოვს, ყურულაშვილს, გეიდენს, ურაძეს, მახხულიას, მელაძეს, ა. მინასიანს, მორჩილაძეს, ნაზაროვს, პავერმანს, პე, რუბენს, ა. რუხაძეს, სუტირინს, აშვილს, ტოროტაძეს, ფარნიევს, ქევიჩს, ხმალაძეს, ჩოდრიშვილს, აიას, ელიზაროვს, ერისტოვს და აკერ იუსუფოვს.

ათ კანდიდატებათ არჩეულ იქნენ: იევი, აბუკინი, ბუზნიაშვილი, ბერძენიშვილი, გაევა, ჯავახოვი, ივანიკოვი, კისელგოფი, ლუკა ლომიძე, მატინიანცი, მღებრიშვილი, ე. მიხაილოვა, რუხაძე, სარდიშვილი, სიხარულიძე, ტოგონაძე, თენიაშვილი, ფარსოვი, ს. ფილიპოვი, ფიალკოვსკი, ხოჯაევი, ჰელიძე და შიშინაშვილი (23 კაცი)

სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისათვის არჩეულია 65 დელეგატი და 32 კანდიდატი.

დელეგატებათ არჩეული არიან: ალი-ტაგი-ზადე, ტ. ადამიძე, ბოლქვაძე, ბოჭორიშვილი, ვართაპეტიანი, ვარძიელი, ვრაჩევი, ვიგორბინი, ვ. ვაშაკიძე, გაევა, გეგეჭკორი, გეიდენი, გაგნიძე, ლ. ლოლობერიძე, გედევანიშვილი, ღლონტი, ჯულელი, გაიოზ დევდარიანი, ჯავახოვი, ენუქიძე, ელიაზაროვი, ერქომაიშვილი, ეგოროვი, თენგიზ ქლენტი, სტ. ზაქარაძე, ზაკომოლდინი, ივანოვ კავკასკი, იტრიევი, მ. კახიანი, ყურულაშვილი, ლ. ქავთარაძე, დ. კანდელაკი, კოსტანიანი, ი. კოჩეტკოვი, კისელგოფი კოჩეტოვი, ლომინაძე, ნოე ლეჟავა, ლეჟტაძე, ფ. მახარაძე, მიასნიკოვი, ი. მორჩილაძე, მახხულია, მოგილევსკი, მზარეულიშვილი, ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, მიხ. ოკუჯავა, მარიამ ორახელაშვილი, დ. ფინცულაია, პოზდეევი, რუბენი, ა. რუხაძე, ნ. რუხაძე, სუხიშვილი, ვანო სტურუა, ფარნიევი, ხუნდაძე, მიხა ცხაკაია, ჰელიძე, მიხა ჩოდრიშვილი და ელიავა.

კანდიდატებათ: მ. ახუნდოვი, ადიკაშვილი, ბტოევი, გერმანი ვინოგრადოვი, ერშოვი, ლომთათიძე, ლუკა ლომიძე, სერაპ. ლომიძე, მელიქოვი, ბარბარე მეხახიშვილი, ე. მიხაილოვა, მორჩილაძე, მიკირტუმოვი, მ. მაშკევიჩი, ტ. მაისურაძე, ნიაზიშვილი, ა. ნაზაროვი, ზ. ომაროვი, პავერმან, ფირალოვი, პეშკო, ფერიაშვილი, სუტირინი, გრ. ტოგონიძე, თენიაშვილი, ხახანოვი, ხაცკევიჩი, ხვიჩია, ი. ჰელიძე, ჩლაიძე, ალეკპერ იუსუფოვი.

ჩაცურეა საფრანგეთ-რუსეთის საერთოდ ფრანგების და სლავიანი კავშირს.

ელი ევროპის ყურადღე რუსეთისაკენ არის მიქცეული.

რიჟიდან. 29 დეკ. საფრანგეთის შეთანხმების გამო საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი „ჩეშკო სლოვო“ **საჭიროთ სთვლის რუსეთთან ისეთივე ურთიერთობის დამყარებას, როგორიც საფრანგეთსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის არსებობს. გაზეთი ხაზს უსვამს რომ რუსეთი, ისე როგორც გენუის კონფერენციის დროს, ევროპის ყურადღების ცენტრშია მოქცეული.**

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

აჭარა

ჯხს“ დაღუპვის გარშემო.

თომში. 31 დეკ. გემ „კონეჯხს“ ამბარეულათ ბათომიდან გასული „კლონტარფ“-ი რადიოთი იტყობინება „მივედი დაღუპვის ადგილზე საღამოს 10 საათზე. გაშინმ შემდეგ ვერ არ გამოილო. მივდი ნდის მიმართულებით; ნიჭეკ საპირებს. იმ შემთხვევაში, ქენ მიზანს არ მიაღწია, დავბრუნდები ავარიის ადგილზე, იქიდან კი ბათომში“.

ფიქრობენ, რომ ეკიპაჟი დაიღუპა გემთან ერთად.

გემის დაღუპვა.

ბათომი. 31 დეკ. ფოთიდან ამერიკისაკენ მიმავალი გემი „კონეჯხს“-ი, რომელსაც მიჰქონდა 300.000 ფუთი შავი ქვა, ტრაპიზონის მახლობლად დაიღუპა. ბათომიდან მისაშველებლად გასული გემი „კლონტარფ“-ი იუწყება, რომ გემი დაიძირა, გემზე მყოფნი კი გადაარჩინეს.

პარტიული ცხოვრება

პარტიული დისკუსია

სრული ნდობა.

ზხკ. 31 დეკემბერი. დელეგატ. კონფერენციამ ერთხმათ მოიწონა ლორუსიის კომპარტიის ცენტრალურ ბიუროს რეზოლუცია პარტიულ აღმშენებლობის შესახებ და ლი ნდობა გამოუცხადა ცენტრალურ კომიტეტს; კონფერენციამ და ახალ ცენტრალურ ბიუროს ენების დროს მსჯელობა იქონ ქრებებში და რაიონებში წინასწარ კანდიდატების შესახებ.

ამის ცენტრი-პარტიული ქვედა ფენებია.

რკ. 31 დეკემბერი. რუსეთის პარტიის ჩიტას ორგანიზაციის ბიურომ 52 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია ტრალურ კომიტეტისა და ცენტ საკონტროლო კომისიის რეზოლუციასთან შეერთების შესახებ; რეზოლუციაში ხაზი გაუსვა მ აუცილებელია ქვედა პარტიულ ორგანოების გადარჩევა და ნტრალური კომისიის მუშაობის ორება.

ომის და ფრაქციების წინააღმდეგ.

რილიან. 31 დეკემბერი. საერთო საქალაქო კრებამ მოიწონა ცეკას პოლიტიკური ხაზი და მუშათა დემოკრატიის პრინციპზე გადასვლა; სრულ ნდობას უცხადებს ცენტრალურ კომიტეტს, ეურთდება პეტროგრადის ორგანიზაციის რეზოლუციას, კატეგორიულათ ილაშქრებს მების და ფრაქციების წინააღმდეგ წინადადებას აძლევს ცეკას ეთ გატაროს მე-10 ე ყრილობის რეზოლუცია პარტიის მთლიანობის შესახებ.

ეორიიდან—პრაქტიკაზე

ხტოვი. 31 დეკემბერი. საერთო საქალაქო პარტიული კრება სავსებით ება რუსეთის კომპარტიის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას პარტიულ აღმშენებლობის შესახებ, წინადადებას აძლევს საგ. კომიტეტს ოს შინპარტიული აღმშენებლობის პრაქტიკული წინადადებები სარატოვის ორგანიზაციისათვის და მოუწოდებს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს განიხილონ ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებები.

სწორი კურსი.

ვიტებსკი. 31 დეკ. პარტიულ აქტიურ მუშაკთა კრებამ დიდის უმრავლესობით მოიწონა ცეკას დადგენილებები პარტიულ აღმშენებლობის შესახებ.

რუსეთის კომპარტია მთლიანია.

ვოლოგდა. 31 დეკ. რუსეთის კომპარტიის წევრთა საერთო საქალაქო კრებამ სრული ნდობა გამოუცხადა ცენტრალურ კომიტეტს და გაკიცხა ყოველგვარი გამოსვლები, რომელნიც არღვევენ პარტიის მთლიანობას.

საერთო პარტიულ ხაზის მოწონება

ვიატკა. 31 დეკ. კოტელნიკის პარტიული ორგანიზაცია ერთხმათ იწონებს ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის საერთო ხაზს, დაუშვებლათ სცნობს ფრაქციულობას და პროტესტს აცხადებს იმ პირადი ანგარიშების გამომზეურობის წინააღმდეგ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ დისკუსიის დროს; ორგანიზაციას აუცილებლათ მიაჩნია, რომ დაწყებულ იქნეს დაუყოვნებლივ ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის რეზოლუციის პრაქტიკული განხორციელება.

იწონებენ ცეკას ხაზს.

ტაშკენტი. 31 დეკ. ქალაქის რაიკომის ბიუროს პლენუმს აუცილებლათ მიაჩნია პარტიული კურსის შეცვლა იმ მხრივ, რომ გატარებულ იქნეს ცხოვრებაში სისტემატიურათ მუშათა დემოკრატიის პრინციპები იმ წესით, როგორც ეს აღნიშნულია ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის რეზოლუციაში.

სწორია.

ხარკოვი. 31 დეკ. იუზოვის საოლქო კონფერენცია სწორათ სთვლის ცეკას ხაზს.

საჭიროა პარტიის კოლექტივის გაერთიანება.

ხარკოვი. 31 დეკემ. ხარკოვის მუშათა გულისპეტინის რაიონის კრება სრულ ნდობას უცხადებს ცეკას და მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს პარტიის მთლიანობის განმტკიცებისაკენ. კრების აზრით, გენიოსი ილიჩი, როგორც პარტიის ბელადი, შეიძლება შეცვლილი იქნეს მხოლოდ გაერთიანებულ ხელმძღვანელ კოლექტივით ცეკას პოლიტბიუროს სახით, ეს უკანასკნელი კი უნდა ეყრდნობოდეს მთელი პარტიის მთლიან გაერთიანებულ კოლექტივს.

მხოლოდ ძველი ტრადიციების ნიადაგზე.

ხარკოვი. 31 დეკემ. უკრაინის ახალგაზრდობის კომკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციის აქტიურ მუშაკთა კრება ეურთდება ცეკას რეზოლუციას და აცხადებს, რომ მხოლოდ ძველ გამოცდილ ბოლშევიკურ ტრადიციების ნიადაგზე პარტია შესძლებს სიმტკიცის, აზრთა მთლიანობის და შეურყეველი ძლიერების შენარჩუნებას.

დისციპლინის მთლიანობისათვის.

ოდესა. 31 დეკემ. სადგურის მახლობელ რაიონის და ქალაქის მუშათა კადრის პარტიული კომიტეტი აშკარად გმობს ფრაქციულობას. მაგრამ ამავე დროს დაუშვებლათ სთვლის ყოველგვარ გამოსვლისათვის ჯგუფობრიობის წოდებას. რეზოლუცია მოითხოვს დისციპლინის მთლიანობის დაცვას პარტიის რიგებში.

სიტყვიდან საქმეზე.

ოდესა. 31 დეკემ. საოლქო პარტიული კომიტეტის გაფართოებული პლენუმი სრულ ნდობას უცხადებს ცეკას და აუცილებლად სთვლის შინაპარტიული დემოკრატიის ფაქტიურ განხორციელებაზე გადასვლას ცეკას ხელმძღვანელობით.

ოდესა. 31 დეკემ. მთელი რიგი იაჩეიკებისა ეურთდება ცეკას თეზისებს.

პარტიული ცხოვრების გამოცოცხლება.

ოდესა. 31. დეკემბერი. პერეკოპის დივიზიის პარტიული კონფერენცია იმედს გამოსთქვამს, რომ საგუბერნიო კომიტეტი შესძლებს შინაპარტიული ცხოვრების გამოცოცხლებას ცეკას დადგენილების საფუძველზე.

ცეკას რეზოლუციისათვის.

ნიკოლაევი. 31 დეკემბერი. საზღვარ გაზის, მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს, მილიციის და სხვა ორგანიზაციების უჯრედების კომუნისტების საერთო კრება სავსებით ეურთდება ცეკას რეზოლუციას.

პარტიული აპარატი უნდა განახლდეს.

ნიკოლაევი. 31 დეკემბერი. საფინანსო განყოფილების უჯრედის რეზოლუცია ცეკას ხაზს საერთოდ იწონებს და მოითხოვს აპარატის განახლებას ხელახალი არჩევნების გზით.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.

(1 იანვარი).

ჩერვონცები — — —	440,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	427,000
ჩეკები —	418.000
დოლარები ეფექტ. —	99,000
ჩეკები —	94.000
ოსმ. ქალ. ლირა	63 000
იტალიური ლირა	3800
ფრანგული ფრანკი	4800
საბჭ. ფულის ნიშნები	15

მოსკოვის ფასები.

(31 დეკემბერი)

პური 1 ხარ.—2250 ათ., პური 2 ხარ—1750. ძროხის ხორცი—8000 ათ. ღორის ხორცი 8500, შაქარი რაფინადი—22,100 ათ., ფხვნილი შაქარი—14,100 ათასი ვერმიშელი—6500 ათ. ბრინჯი ალდ.—3500. ათ. კარტოფილი—700 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(31 დეკემბერი).

პური 1 ხარ.—3000 ათასი, პური 2 ხარ.—2000 ათასი, ძროხის ხორცი 8.500 ათ. ცხვრის ხორცი 9500 ათ. შაქარი რაფინ.—26 მ., შაქარი ფხვნილი 15,500 ათ. ვერმიშელი—6500 ბრინჯი ალდ.—3500—4000 მ., კარტოფილი 1000.

ბირჟის მიწოდება.

ურალის რკინეულობა; სინგაპურის პილპილი; კაკაო ზეთი, კაკაო (მარცვლოვანი), პარაფინი; კვებრახის ექსტრაქტი, მავთული (რბილი); შვეიცარიული ყველი; „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია; სალომასი; მზესუმზირას ზეთი; რუს. მანუფაქტურა; ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა; რუს. ასანთი; ს. მ. უ. ს. საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი, და სხვ.) ცემენტი და ეტერნიტი; ყუბანის ფქვილი, ჩაი, აგური (ცეცხლ-მაგარი); საბზა, შაქარი რაფ. და ფხვნილი რუსული; მატყლი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ტექნიკური ცხიმი; საბზა, ყურაგა; ხორბალი; „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია; ღვინის ბოთლები; სალომასი; მზესუმზირის ზეთი; პორტლანდის ცემენტი; ყუბანის საკანდიტერო ფქვილი; ქეჩის არაყი (1.000.000 გრ), ჩაი; ასანთი რუს; მატყლი.

ოფიციალური გარიგებანი.

დაღესტანის მატყლი შავი (შემოდგომის)—14 მან. ფუთში, ფრანკო—სადგ. პეტროვსკი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

ვალუტის ბაზრის განწყობილება

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი კვლავ განაგრძობს ზრდას. ოსმალეთის ქალ. ლირაზე მოთხოვნილება შესამჩნევად ცხოველდება.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

27 დეკემბერს, ბირჟის გარეშე დადებულია 8 გარ. სულ 27023 ჩ. მან თანხისა, ხოლო 28 დეკ. დადებულია 22 გარიგება—70,171 ჩ. მან.

ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

ბენზინზე აქციზის დაკლება.

უმაღ. ეკონ. საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს ა/კ. ცენტრ. კომიტეტის წინაშე, რათა დაკლებულ იქნეს აქციზი ბენზინზე 25 პროცენტით (1 მ. 60 კაპ. მაგიერად—1 მ. 20 კ.)

ა/კ. უმაღლეს ეკონ. საბჭოს ჟურნალი.

ა/კ. ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა დახურულ იქნეს ყველა სამეურნეო ჟურნალები, გარდა იმ ბიულეტენების, რომლებსაც გამოსცემენ სხვადასხვა უწყებები. ამასთან ერთად განზრახულია ა/კ. უმაღ. ეკონომიურ საბჭოს ჟურნალიც, რომლის რედაქტორობა მიენდო ამხ. გენკინს.

თამბაქოს შესყიდვა.

საქ. სახ. კომისართა საბჭომ მიმართა ა/კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან შუამდგომლობით, რათა მიეცეს საქ. სახ. სამ. უმაღლეს საბჭოს 30 000 ჩერ. თანხა 1923 წლის მოსავლის თამბაქოს შესასყიდათ. უმაღ. ეკონ. საბჭომ მიანდო ა/კ. ფინანსთა კომისარიატს დახმარება გაუწიოს ს. მ. უ. ს. აღნიშნულ თანხის მიღებაში.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(1 იანვარი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1 კ.	440.000	60 კ.	26 400.000
2 „	880.000	70 „	30.800.000
3 „	1.320.000	80 „	35.200.000
4 „	1.760.000	90 „	39.600.000
5 „	2.200 000	1 მ.	44 000.000
6 „	2.640.000	2 „	88 000.000
7 „	3 080.000	3 „	132.000.000
8 „	3.520.000	4 „	176 000.000
9 „	3.960.000	5 „	220.000.000
10 „	4 400.000	6 „	264.000.000
20 „	8.800.000	7 „	308 000.000
30 „	13.200.000	8 „	352.000.000
40 „	17 600.000	9 „	396.000.000
50 „	22.000.000	1 ჩერ.	440.000.000

ქრონიკა

— **გურიის რკინიგზის გახსნის გამო.** ამხ. სერგო ორჯონიკიძემ გურიის რკინიგზის გახსნის გამო გურიის ალმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ანდრო დოლიძეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა. სულით და გულით ულოცავ გურიის მშრომელ ხალხს ბრწყინვალე გამარჯვებას კულტურულ ფრონტზე. ის, რაზედაც მენშევიკები ოცნებობდნენ—გურიის მშრომელთა ხალხმა თავისი მთავრობის ხელმძღვანელობით სინამდვილეთ აქცია. ოზურგეთ-ნატანების რკინიგზა ამის უტყუარი მაგალითია.

— **ბუღალტერიის კურსებზე.** ი. პალატნიკოვის ბუღალტერიის კურსებზე, რომელიც იმყოფება პროფტექნიკურ განათლების სექტორის გამგებლობაში, ახალი ჯგუფის მეცადინეობა დაიწყება 2 იანვრიდან—მიღება გრძელდება. მეცადინეობა საღამოობით.

— **სასამართლო ბინების საკითხების შესახებ.** დღეიდან ტფილისში იხსნება სახალხო სასამართლო სპეციალურად საბინაო საქმეებისათვის. მას ექვემდებარება ბინების შესახებ გამომდინარე ყველა კითხვები. სასამართლო მოთავსებულია რტიშჩევის ქ. № 18 სახლში.

— **ბავშვთა თავშესაფარი.** სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტმა, ქუჩის ბავშვთა თავშესაფარის მოსაწყობად, დაარსა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. მიხა ცხაკაია (თავმჯდომარე), მ. ორახელაშვილი, მამულია, ვ. სტურუა. ლ. სუხიშვილი, ყურულაშვილი, ადამიძე, ხომერიკი და დევდარიანი. თავშესაფარის მოწყობა განზრახულია 200 ბავშვისათვის.

— **გლეხთა სასახლე.** სრ. საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა დაამტკიცა დებულება ტფილისში გლეხთა სასახლის მოსაწყობათ.

— **ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის დაჯილდოება.** სრ. საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა დააკმაყოფილა ნატანებ-ოზურგეთის რკ. გზის გამყვან კომიტეტის შუამდგომლობა—აღნიშნულ გზაზე მომუშავე მუყაითი მუშების დასაჯილდოებლად.

— **უმარკო წერილები.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს დადგენილებით: უმარკო წერილები უკანვე დაუბრუნდებათ გამგზავნილებს საღერბო მარკის გადახდით.

— **შრომის და ომის ინვალიდები.** 1923 წ. მიმდინარე ომში სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს ტფილისში აყვანილი ჰყავდა სრულ უზრუნველყოფაზე და საინვალიდო სახლებში მოთავსებული—252 შრომის და ომის ინვალიდი.

— **კულტურული მზრუნველობა.** სიღნაღის ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სრ. საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის წინაშე, რათა მიიღოს კულტურული მზრუნველობა მეხუთე განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმზე.

— **საგლეხო კომიტეტების რაოდენობა.** გასული წლის ივნისიდან 1 იანვრამდე საქართველოში მოეწყო სულ 1042 სასოფლო, 340 სათემო და 10 სამაზრო გლეხთა კომიტეტები.

— **პენსიები და დახმარება შეღავათები.** გასული წლის განმავლობაში სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს აღრიცხვაზე ტფილისში აყვანილი ჰყავდა და დახმარება გაუწია ერთდროული დახმარების და შეღავათის მიცემით 2795 ომის და შრომის ინვალიდს.

—**მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** სასურსათო კომ. ცნობით, 30 დეკემბრისათვის საქართველოში მთ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან შემოსულია: 1,159,430 ხორბლის ერთეული, 123,844 ფ ხორბალი, 58 976 ფ ქერი და 193 ფ. სიმინდი. ფულად: 4 ტრილიონი, 387 მილიარდი, 939 მილიონი და 543 ათასი მანეთი.

— **ახალი კოოპერატივი.** ქართულ დივიზიის 1 ლ პოლკთან იხსნება მთლიანი სამხედრო კოოპერატივი.

— **უმუშევრობასთან ბრძოლა.** შრომის ბირჟამ გადასწყვიტა 14 იანვარს ყველა თეატრებში და კინოებში მოაწყოს საღამოები, რომლის შემოსავალი სავსებით გადადებული იქნება უმუშევრობასთან მებრძოლ ფონდის გასაძლიერებლათ.

— **დახმარება დაზღვეულ უმუშევრებს.** დეკემბრის თვის განმავლობაში უმუშევართა დამზღვევ ქვეგანყოფილებამ უმუშევართა დასახმარებლათ გაიღო 256 მილიარდი და 639 მილიონი.

— **შრომის ბირჟა.** 29 დეკ შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 6 უფუშ, ახლად ჩაეწერა—14, სამუშაოზე გაიგზავნა—79. მოთხოვნილება იყო—46.

შემთხვევები

—**ქურდი ქალები** 28 დეკემბერს ცენტრალურ სავაჭროს სამართველოს დუქნიდან № 3 მოიპარეს 30 არშინი ჩითი ბოროტმოქმედნი აღმოჩნდნ. თამრი. ელიანოვის ასული კურს დენოვა, ბეულ არსენი ბერძი უსუფის ასული და სახტოროვა ჰაკტჰაეტის ასული.

— **მკვლელობა.** 28 დეკემბერს საღამოს 10 საათზე სოფ. აბულაღში ბოროტგამზრახველთა მიერ მოკლულ იქნა სოფ. ჩიჩუფის მცხოვრები იოსებ ოძელაშვილი. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **რესტორანის გაქურდვა.** 27 დეკემ. გაქურდულ იქნა რესტორან „პალასის“ სამზარეულო, საიდანაც წაღებულ სხვადასხვა ჭურჭელი. ეჭვით შეიპყრეს მიკირტიჩ უზანიანცი.

— **მოთვისებისათვის.** 27 დეკემბერი. შეიპყრეს მოქ. პეტრე ივანის ძე, რომელსაც ბრალდება „ჩემო -დან ორასი გირვანქიანი ჩეკის მიღება დასახურდავებლათ და მოთვისება.

— **შეპყრობა** 27 დეკემბერი. შეიპყრეს შალვა მელქ ძე, რომელსაც ბრალდება მოქ. ვექტ. კაკ ყმაძის ბინის გაქურდვა. რაშიაც იგი გამოტყდა.

ხელოვნება

სახალხო თეატრი

„სულელი“

კვირას, 30 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა სამმოქმედებიანი დრამა შიუკაშვილისა—„სულელი“.

ეს ერთი საუკეთესო პიესათაგანია შიუკაშვილის ნაწერებში. თანამედროვე, ცოცხალი, არსებითად დრამატიული, მაგრამ სიხალისითა და სიმხიარულით აღსავსე.

დიდი თავდაჭერილი ზომიერობითა და ბუნებრიობით არის გადმოცემული ყოველივე სიტყვა განგებ მოსულელ ადამიანისა, რომლის გარშემოც ტრიალებს მთელი პიესის ბედიღბალი.

პიესა ლამაზია და სამი საცქერალი, თუ კი ის შესაფერისად იქნება წარმოდგენილი. და სწორედაც ამ საღამოს ისე საუცხოვოდ იყო დადგმული და ნათამაშები „სულელი“, რომ თვით შიუკაშვილი უკეთესს ვერ მოისურვებდა.

ეს, შეიძლება ითქვას, რომ თავანკარი წარმოდგენა იყო მთელ სეზონში. მართალია ბევრი პიესა უთამაშნიათ საუცხოვოდ, მაგრამ ასე უხინჯო ყოველმხრივ, დადგმით თუ თამაშობით,—თითქმის არც ერთი.

ამ საღამოს ჩვენ ვნახეთ კობელი ფრიად პასუხსაგებ როლში სულელისა. უნდა მოგახსენოთ—ეს ისეთი როლია, რომლის იერი და მოქნილობა ვერც ავტორის მიერ აწერება სავსებით და ვერც რეჟისორისაგან შეისწავლება. საამისოდ თვით მსახიობში უნდა იყვეს შემოქმედებითი ნიჭი და მარიფათი. ეს თვისებანი კობელმა თამაში დახელოვნებით დაგვანახვა და თავიდან ბოლომდის შეუფერხებელ გამარჯვებით მიდიოდა წინ თვით მისივე მოკლული ამხანაგები დიდის ყურადღებით უცქეროდენ მის გატაცებულ თამაშს.

თაზიშვილი—ღენერალი იყო ღენერლის როლში.

ადამიძემ თავისი ინტელიგენტური დახელოვნება სავსებით გამოააშკარავა საქმის მწარმოებლის როლში.

მაგრამ სათითაოთ ჩამოთვლა აღარ არის საჭირო. ლორთქიფანიძე, იახქოშვილი, მინდელი, ჭანკვეტაძე, ივრელი და სხვა, ვისაც კი სულ უმნიშვნელო როლი ჰქონდა—ყველა ამკობდენ ერთი ერთმანეთს.

როლიც ყველამ იცოდა.

ერთ სიტყვით „სულელის“ წარმოდგენით სახალხო თეატრის მსახიობებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს შემდეგი: თუ კი იგინი მოისურვებენ და მოასწრებენ, ყოველთვის შეუძლიათ მოგვცენ ისეთი სრულქმნილი წარმოდგენა, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს ხელოვნების სასტიკად მოდავე ადამიანსაც.

ლელი.

— „2 იანვარი“. ოთხშაბათს, 2 იანვარს ქართული თეატრის დღესასწაულის დღეს რუსთველის თეატრში გაიმართება საზეიმო წარმოდგენა საინტერესო პროგრამით.

ეგ. ნინოშვილის ნაწარმოებთა დასურათება. სახელმწიფო გამომცემლობა ამ დღეებში შეუდგება ეგ. ნინოშვილის ნაწარმოებთა სრული კრებულის გამოცემას. წიგნი დასურათებული იქნება. ამ გამოცემის სარედაქციო კომისიამ შეჯიბრება გამოაცხადა ქართველ მხატვართა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველმა 10 იანვრისათვის უნდა წარადგინოს სარედაქციო კომისიაში ერთი ნახატი.

ნიმუშად უნდა დაიხატოს „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ ის ადგილი, როდესაც სპირიდონ მცირიშვილს რევოლვერით მოკლავს ტარიელ მკლავაძე რკინისგზის სადგურზე:

— **გრიგოლ ცეცხლაძის ლექსების წიგნი.** გამოვიდა პოეტ გრიგოლ ცეცხლაძის ლექსების პირველი წიგნი: „პოეტის ყვავა“. წიგნში უმთავრესად მოთავსებულია ახალი ლექსები. წიგნი დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე და ღირს 35 კაპ. ჩერ.

— **კ. გამსახურდიას მოხსენება.** იანვრის 8-ს, პირველ კონსერვატორიაში კ. გამსახურდია გააკეთებს მოხსენებას: „ლიტერატურული პარიზი“.

— **სულხანიშვილის ოჯახი.** თელავიდან ტფილისში ჩამოსულია გარდაცვლილ სახალხო კომპოზიტორ სულხანიშვილის ქვრივი, რომელიც ოთხი ობოლი ბავშვით განიცდის დიდ გაჭირვებას. სულხანიშვილის ქვრივმა აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე სათანადო დახმარების გასაწევათ.

— **ახალი პიესა.** იანვრის შუა რიცხვებში რუსთველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ს. შანშიაშვილის ახალი პიესა „სპარტაკი“ კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

— **„ბერდო ზმანია“.** ახლო ხანში წარმოდგენილი იქნება შანშიაშვილის „ბერდო-ზმანია“ ალ. ახმეტელის რეჟისორობით.

— **სამუსიკო წრე.** მუშათა ცენტრ. კლუბთან დაარსდა სამუსიკო წრე. წრის მიზანია შეისწავლოს აღმოსავლური მუსიკა და გამართოს სახალხო კონცერტები მუშათა უბნებში.

ელო ანდრონიკაშვილის საღამო ამ დღეებში რუსთაველის თეატრში გაიმართება დამსახურებული მსახიობის ელო ანდრონიკაშვილის საღამო.

— **წითელარმიელთა ცენტრალური კლუბი ახალ ბინაზე.** წითელარმიელთა ცენტრალური კლუბი 5 იანვრიდან მოთავსებული იქნება მცირე თეატრის (ყოფ. პროლეტკულტის) შენობაში.

— **ნინო ჩხეიძის გასტროლები.** მსახიობი ქალი ნინო ჩხეიძე გაემგზავრა ბათომში საგასტროლოთ. ბათომში მისი მონაწილეობით დაიდგმება რამდენიმე წარმოდგენა.

— **„ჩვენი ქვეყნის რაინდი“.** სახ. კინო-სექცია შეუდგა ეგ. ნინოშვილის მოთხრობის „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ ლენტზე გადაღებას.

— **მსახიობი ქალის მარო მდივანის იუბილე.** მსახიობთა კავშირის გამგეობამ დაადგინა მიმდინარე წელს, გაუმართოს იუბილე მსახიობ მარო მდივანს მის სცენაზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ.

დღეს თეატრებში:

— ოპერა—„კარმენი“.

— დრამა—„მზის დაბნელება“

პროვინციაში

სოფ. დიდ-ჯიხაიში

თუ კი ვინმეს ამ ზაფხულზე გაუვლია ს. დიდ ჯიხაიში, ის დაინახავდა თუ რა დიდი აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებდა იქ: დაწყებული იყო შენობა ტექნიკუმისათვის; ადგილობრივი მცხოვრებნი მთელი თავისი ენერგიით ეხმარებოდენ სააღმშენებლო კომისიას, რათა თავის დროზე დაემთავრებიათ ეს შენობა; დაწყებული იყო სახალხო სახლის შენობაც, რომლისთვისაც ყველა სააღმშენებლო მასალა ზიდული იყო ადგილზე. მაგრამ ეხლა თითქოს ყველაფერი გაყინულია. დაწყებული შენობები, რომლებსაც კიდევ მიემატა შენობა აღმასკომისათვის, უნუგეშო მდგომარეობაშია. მასალა მათთვის ყრია კარში უპატრონოთ და ლპება ცუდი ამინდის გამო. ტექნიკუმის აგურის შენობა ჯერ კიდევ სველი, ამ ცუდ ამინდში ინგრევა, რადგანაც კედლები მოუოავებელია და დაუხურავი. შეუდგენიათ ათეული უთავბოლო კომისიები ამ საქმის მოსაგვარებლათ, მაგრამ ეს კომისიები, როგორც ეტყობა, უსიცოცხლონი არიან და არაფერს არ აკეთებენ.

საჭიროა ყველა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერარს და ტექნიკუმის შენობა საჩქაროდ დაიხუროს, რომ ამდენმა შრომამ ტყუილად არ ჩაიაროს; ხის მასალები უნდა შეინახულ იქნან მშრალ ადგილას და უმთავრესი კი ის არის, რომ ასე უთავბოლოდ ნუ დაიწყებენ შენობების შენებას, რომლების მოთავებას ბოლო არ უჩანს. საჭიროა ხალხის ქონება გამოყენებულ იქნას ამავე ხალხის პირველ მოთხოვნილების საჭიროებისათვის, როგორიც არის—ქსენონი, რომელსაც გაუქმება მოელის უფულობის გამო ქირურგის წასვლით.

კიდევ ერთი შენიშვნა. ადგილობრივ სამიკიტნოებში მიდის მთელი დოვლათი მშრომელი ხალხისა, რომელიც ისედაც გაძვალტყავებული არის. ვინც კი ბაზარში გადის, უეჭველათ მთვრალი ბრუნდება სახლში.

ამას ბოლო უნდა მოეღოს.

აგრეთვე ბოლო უნდა მოეღოს იმ მდგომარეობას, რომ სამიკიტნოებში მასწავლებლები და მოწაფეები ერთ სტოლზე მრავალ-ჟამიერს არ გაჰყვიროდენ, რასაც ამ ჟამად დიდი ადგილი აქვს დათმობილი ახალგაზრდობის „აღმზრდელობითი მუშაობაში“. მე მგონია რომ თუ კი საბჭოთა ხელისუფლებამ ქ. ტფილისში შესძლო ათეული და ოციული სამიკიტნოების დაკეტა, რომ მუშები მათ არ დასწოდომოდენ, ეს უფრო შესაძლებელია პროვინციებში და განსაკუთრებით ს. დიდი-ჯიხაიში.

ბოლო უნდა მოეღოს ყველა ზემო აღნიშნულ დეფექტებს.

ნაგრი.

მუშა-მგოსანის გიგო ხეჩუაშვილის იუბილე

ძლიერ შევეჩვიეთ ჩვენ უკანასკნელ ხანებში იუბილეებს. დღე არ გაივლის, რომ რომელიმე მოღვაწის, ხელოვანის თუ სხვისი იუბილე არ გაიმართოს. მაგრამ 30 დეკემბრის იუბილე განსაკუთრებული არის ამ იუბილეებს შორის.

ამ დღეს ზეიმი გადაუხადეს მუშა-მშრომელს, რომელმაც მწერლობა და ფიზიკური შრომა ერთმანეთს შეუთავსა, მუშას, რომელმაც თვით გაიარა ეკლიანი გზა, თავისი თვალით ხედავდა, სწავლობდა მშრომელი ხალხის ჭირვარამს, მის გაჭირვებას. მისი შემოქმედება, შეუძლებელია ვერ დაარტყობს რუსთაველის პროსპექტზე მრავლათ მოხეტიალე „ეთეთიკოსებს“ ან ახლათ მოვლენილ პოეზიის „მირონცხებულებს“, რომლებიც თითეულ ახლათ მიღებულ ევროპიის ჟურნალიდან „ითვისებენ“ „ახალ იდეებს“ და „პრინციპებს“ და საზღვარგარეთ დიდი ხნით ადრე გარდაცვალებულ „დადაიზმსა“ და „ფუტურიზმს“ რევოლიუციონური შემოქმედების უკანასკნელ სიტყვათ ასაღებენ. მათ ვერ დააკმაყოფილებს გიგო ხეჩუაშვილი, მისი შემოქმედება მაგრამ ბოგანო, მშრომელი ხალხი, ჩვენი სოფელი-კი, რომლებიც გიგო ხეჩუაშვილის, იოსებ დავითაშვილის და ხალხის სხვა ასეთივე შვილების ნაწერებზე იზრდებოდენ, სხვანაირად აფასებენ ასეთ მუშა-მწერლებს, როგორიც გიგო ხეჩუაშვილი არის.

ამას ნათლად ამტკიცებდა ტფილისის მშრომელი ხალხით სავსე თეატრი, ის თბილი შეხვედრა, რომელიც ამ მშრომელმა ხალხმა გაუმართა იუბილიარს.

სიტყვა გ. ხეჩუაშვილის შემოქმედების შესახებ წარმოსთქვა იოსებ იმედაშვილმა. თეატრში შეკრებილ მშრომელთ მან გააცნო იუბილიარის მძიმე წარსული, როცა ის ბატონს ფეხებს უფხანდა და ამავე დროს ჩუმად, მალულად უკვდავი რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნიდან“ საყვარელ ტაეპებს [illegible] სინათლის შუქი ეფინება ბნელ სოფელს—გიგო ხეჩუაშვილი მივიდა იმ დღესასწაულებამდი, საიდანაც ეს შუქი გამოდის მივიდა სტამბაში. და მთელ ამ გზაზე მას არ დაუგდია კალამი, ფიზიკურ შრომასთან ერთად ის კალმითაც ემსახურებოდა მშრომელ ხალხს

ამის შემდეგ დაიდგა იუბილიარის სამმოქმედებიანი დრამა „მუშა მგოსანი“—იოსებ დავითაშვილის ცხოვრებიდან.

დრამის შემდეგ—აპოთეოზი: გიგო ხეჩუაშვილი მის მიერ შექმნილ ტიპებს შორის

იუბილიარს მიესალმენ სხვადასხვა ორგანიზაციების, დაწესებულებების წარმომადგენლები: ამხ. ი. ბუაჩიძე—ბეჭდვითი საქმის მუშაკთა საქ. კავშირის ბიუროს და გაზ. „კომუნისტ“-ის რედაქციის სახელით, რომლის მუშა-კორესპონდენტია იუბილიარი, სახელმწიფო ოპერის დირექციის და მსახიობთა სახელით მოქ. [illegible] შვილი პროლეტარულ მწერალთა, პოლიტიკურ განათლების მთავარ მართველობის და საქ. პროლეტკულტის სახელით—პოეტი სანდრო ეული, გაზ. „ახალი ფიქრის“ და „მარტაკოჩის“—ამხ შაფათავა, ახალგაზრდა პროლეტარულ მწერალთა ჯგუფის სახელით ამხ. ა. მაშაშვილი, მუშა კორესპონდენტები და სხვები.

განსაკუთრებით საუცხოვო იყო 3 პაწია ბავშვის მისალმება, რომელთაც მთელი თეატრი და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებით სავსე სცენა მხურვალე ტაშით შეეგება.

კარგი იყო აგრეთვე აშუღების დასტა, ჭიანური და ბავშვების გუნდი.

დასასრულ მხურვალე ოვაციების შემდეგ მუშა-მგოსანმა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და შეჰპირდა თბილისის მშრომელთ, რომ მომავალშიც მთელი თავისი ძალღონით ემსახურება მუშა ხალხს.

დამსწრე.

ჯეთ სოფელს

ტფილისის ჩრდილოეთით, 9 ვერსის მანძილზე, გაშენდა სოფელი, რომლის მცხოვრებნი გადმოსახლდენ ს. პატარა-ლილოდგან, რადგანაც იქ აღმოჩნდა მეწყერი, რასაც ადამიანის მსხვერპლიც კი მოჰყვა. დღეს კი ლამაზ მინდორზედ, გაშლილ ალაგას აღმოცენდა ნამდვილი ევროპიული ტიპის სოფელი, გარეგნულად მაინც. მაგრამ შევედი შიგ, დაველაპარაკე გლეხს, გამოვკითხე მას ამბავი მის ცხოვრებისა და ძალაუნებურად ვკითხე ჩემს თავს: „მართლა ტფილისიდგან 9 ვერსის მანძილზედ ვიმყოფები, თუ შორს სადღაც მივარდნილ მთებში ვარ?“ სოფელი 80 კომლისაგან შესდგება, მაგრამ მათში მხოლოდ 7 კაცმა თუ იცის ხელის მოწერა. 3 წლის წინეთ უჩინაობის გამო დაიკეტა სასოფლო სკოლა, რომელსაც განათლების სხივი შეჰქონდა წყვდიადში. გამარჯვება უმეცრებას დარჩა. სწორედ იმ ხანებშივე დაიკეტა სასოფლო კოოპერატივი და გლეხის სარჩო-საბადებელი ჩარჩ ბაცაცებმა ჩაიგდეს ხელში. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. დღეს, მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროს სიბნელეს და ცრუმორწმუნეობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მით უმეტეს, რომ აღნიშნული სოფელი საქართველოს ცენტრიდგან ასე ახლო იმყოფება. საჭიროა სასწრაფოდ გაიხსნას სასწავლებელი, როგორც ბავშვთათვის, აგრეთვე მოზრდილთათვის, რომ უსწავლელობას მოეღოს ბოლო და საერთოდ იქნას ზომები მიღებული ამ სოფელში კულტურის შესატანად.

გამვლელი.

ს. კაპანა (სენაკის მაზრა)

ს. კაპანა მცხოვრებთა რაოდენობით მოზრდილი სოფელია. აქ ირიცხება 140 მდე კომლი. ს კაპანა დაბა აბაშას 2 ვერსითაა დაშორებული. მიწის სიმცირით და მისი არა დამაკმაყოფილებელი ხარისხიანობით ამ სოფლის მცხოვრებნი შედარებით მახლობელ სოფლებისა ითვლებიან ღარიბებათ. ს. კაპანას ღარიბ სოფელს უწოდებენ. ადგილობრივათ მიწის უქონლობის გამო მიდიან სამუშაოდ 15—18 ვერსის იქით „ნაოჩუ“, „ანჯელი“, „ისულაში“, როგორც საერთოდ ისე აქაც ხალხი ეკონომიურად ძლიერ სივიწროვეს განიცდის. ხალხი მოკლებულია პირველი საჭირო ნივთებს და ფართლეულობას.

ს. კაპანაში სკოლას თავისი საკუთარი შენობა არა აქვს. ხალხს სკოლის აშენება დიდათ სწყურია. ამისათვის უკვე არჩეულია სააღმშენებლო კომისია, რომლის განკარგულებაშიც გადაცემულია ადგილობრივად გაუქმებული ეკლესიის შენობა და კოწია ცომაიას ყოფილი სახლის ზედა სართული, რომელიც აგრარული რევოლიუციის ჩატარების დროს ჩამოერთვა მის შვილს. ასე რომ ხალხს სასკოლო მასალები მოეპოვება ბლომად. ეკლესია იყო დახურული ცინკით, რომელიც გადარღვეულია და მიჩნეულია სკოლისათვის. კომისიის გამონაგარიშებით, ხსენებული ცინკა ადგილობრივი სკოლის შენობას უნდა ეყოს გადასახურავათ. მიუხედავად გაჭირვებისა, ხალხი დაინტერესებულია სწავლით და ყველა მზად არის შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს სკოლის აშენებას. შენობები, რომლებიც კომისიას ხელთ აქვს დარღვევია და სასკოლო შენობათ ასაგები. მას ესაჭიროება დღევანდელ მდგომარეობაში დიდი თანხა, რომლის უქონლობის გამო, სკოლის შენების საქმე შეჩერებულია. სახურავს მოკლებული ეკლესიის შენობაც ნადგურდება, ლპება წვიმიანობის გამო. თუ საქმეს თავის დროზე არ ეშველა, ს. კაპანას არც სკოლა ექნება და ყოფილ ეკლესიის მასალებიც გაფუჭდება. სააღმშენებლო კომისიამ ამას წინათ ტფილისში, ბაქოში, ბორჯომში და სხვა ქალაქებში კაპანის შვილებს დაუგზავნა მოწოდება დახმარებისათვის. მოწოდების საპასუხო გამოძახილი ჯერ-ჯერობით მიღებულია მხოლოდ ბაქოდან ამხ. ილიანე დათ სძე თოფურიასაგან, რომელმაც სააღმშენებლო კომისიას გამოუგზავნა ათი ჩერვონეცი, ე. ი. ა/კ ბონების დღევანდელი კურსით ხუთი მილიარდამდე. ხალხი და სააღმშენებლო კომისია ამხ. ილიანეს გამოძახილმა დიდათ აღფრთოვანა და მადლობით იხსენიებს მას. ასეთივე გამოძახილს ველით ქ. ტფილისიდანაც, სადაც ს. კაპანას ჰყავს საუკეთესო შვილები. არა ნაკლები დახმარება იქნება სხვა ქალაქებიდანაც და ამ იმედით სააღმშენებლო კომისია ამ დღეებში უნდა შეუდგეს შენობის აშენებას, მის განკარგულებაში მყოფი სასკოლო მასალების საშუალებით.

უსურვებთ ს. კაპანის სკოლის სააღმშენებლო კომისიას ხალხთან ერთად დაწყებული საქმის სასახელოთ დაგვირგვინებას და ქ. ტფილისში და სხვა ქალაქებში მყოფ კაპანის შვილებს სააღმშენებლო კომისიის დავალებით მოუწოდებთ დახმარებისაკენ სასწრაფოდ.

გვინდა ვირწმუნოთ, რომ ამ წესით სკოლის აშენების საქმეს მიეცემა დაჩქარებითი ხასიათი და ამ შემთხვევაში ჩვენთან ექნება სარაიონო და სამაზრო ალმასკომსაც.

[illegible] ს. კაპანასაც [illegible] ვართან სკოლა და მით საშუალება მიეცემა ბავშვებს ცოდნის შეძენისა.

ა-ძე.

მუშათა ცხოვრება

სალამი ახალ წელს!

დღეს ახალი წელი არის,
ახალ წელი ახალ სტილით,
ძველი წელი, როგორც იყო
გავატარეთ გასაქირით.

ძველმა წელმა ასპარეზი
დასთმო, გაჰქრა, მიიმალა
და ახალ წელს ახალ ძალით
ქვეყნის ბედი ჩააბარა.

საქართველოს ახალ საბჭოს
და დღევანდელს ახალ წელსა
გულით სულით სალამს უძღვნის,
გაუმარჯოს ორივესა!

გაუმარჯოს გლეხებს, მუშებს,
თავდადებულს წითელს ჯარსა,
გაუმარჯოს საბჭოთ კავშირს,
გაუმარჯოს მშრომელ ხალხსა!

გაუმარჯოს მსოფლიოში
შრომის შვილთა მტკიცე კავშირს,
გაუმარჯოს, ვინც ძველს ანგრევს,
გაუმარჯოს, ვინც ახალს ჰქმნის!

გაუმარჯოს, ვინც საქვეყნო
ჩანგს ერთ ჰანგზე აამღერებს,
მტირალთ თვალზე ცრემლს შეაშრობს
ყველას ერთ ხმით აამღერებს!

მუშკორი მუშა ნავთლუღელი.

ჩვენს ქარხკომებში

სამტრესტო ხე-ტყის ქარხკომი ცდილობს ღირსეულად შეასრულოს ის მოვალეობა, რომლისათვისაც ის არის მოწოდებული. ის ფხიზლად ადევნებს თვალყურს მუშებსა და ადმინისტრაციას შორის დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულების რეალურად განხორციელებას, რომ არ გაუარესდეს აქაურ მუშათა ნივთიერი მდგომარეობა. ქარხკომი სერიოზულ ყურადღებას აქცევს თვით წარმოების საქმესაც, რომლის ნორმალური მდგომარეობის შეფერხებაც იწვევს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ პირობების გაუარესებას. დასახელებული ქარხკომი, უნდა ვსთქვათ სიმართლე, მოისუსტებს თავის კულტურულ მუშაობით. ისე, როგორც ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხნებში მოიპოვება მრავალი სხვადასხვა კულტურული წრეები, აქ ასეთი არასფერია დაარსებული. უკანასკნელად გაკეთებულია ქარხნის ეზოში ბიბლიოთეკის შენობა, მაგრამ ჯერჯერობით ის ცარიელია და საჭიროებს წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. შედარებით მუშათა რიცხვთან ძალიან ცოტაა ქარხანაში გაზეთების რიცხვი გამოწერილი. ქარხკომმა უფრო მნიშვნელოვანი კულტურული მუშაობა უნდა აწარმოოს თავის მუშებში.

მუშკორი მ. ა.

ლოთობასთან ბრძოლა თეატრის საშუალებით.

ამა წლის 24 დეკემბერს სანიტარულ განათლების სახლის თეატრში რეჟისორ ბურჯალოვის მიერ და ავტორის მსახიობ დიმოვის მონაწილეობით დადგმულ იქნა პიესა „ზხამი". „ზხამი" დაწერილი არის ჯანმრთელობის კომისარიატის სპეციალურ დავალებით, შეეხება ლოთობასთან ბრძოლას და გამოხატავს ამ საშინელ სოციალურ სენთან ბრძოლის ახალ ფორმას. ეს არის პირველი ცდა გაუშუქონ ფართე მშრომელ მასსას ლოთობის დამღუპველი მნიშვნელობა არა მშრალი ლექციების და მოხსენებების საშუალებით, არამედ მხატვრულ, დრამატიულ ფორმაში ჩამოსხმულ იდეით, აქციონ ის მასის კუთვნილებათ ყველაზე უფრო მიმზიდველ და საინტერესო გზით. აქ თქვენ თვალწინ იშლება, ცოცხალი, თვით ცხოვრების სიღრმიდან ამოღებული, უკიდურესად რეალური, საშინელი სურათი ოჯახისა, რომელიც შეპყრობილია მემკვიდრეობით ლოთობით და ამ ნიადაგზე სრულ გადაგვარების გზაზე დგას. ოჯახის უფროსი, რომელიც დაავადებულია ამ საშინელ სენით და რომელიც საგიჟეში ლევს სულს, ცოლი მისი—ლოთი, უფროსი ვაჟი მუშა მემკვიდრეობით ლოთი; სიგიჟის ნიშნებით; ქალიშვილი—პროსტიტუტკა, მოხუცი ბებია ლოთი და მისი მცირეწლოვანი შვილიშვილი—შეშლილი. აი ის შემაძრწუნებელი ტიპების გალერეა რომელიც ლოთობის ღვიძლ შვილს წარმოადგენს. სიღარიბე, ცნებათა არევა, პსიქიური ანომალია, ზნეობრივი დაცემა, სქესობრივი არანორმალური დამოკიდებულება თვით ოჯახის წევრთა შორის—აი ის საშინელი ტრაგედია, რომელიც თქვენ თვალის წინ იშლება და მსახიობთა კარგი თამაშთან ერთად წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორის ნ. ა. დიმოვის ნიჭიერი თამაში. ახალგაზრდა მუშის—ოჯახის უფროსი ვაჟის როლში, მან საშინელი სიძლიერით გადმოგვცა ის სულიერი ტრაგედია, რომელიც შექმნილია ზნეობრივ პრინციპების და მის ნებით გარეშე მყოფ, მისი სიგიჟემდე მიმყვან დაწყევლილი მემკვიდრეობის ზედგავლენით. განსაკუთრებულ ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს ის თავის ღვიძლ დისადმი არა ნორმალური სიყვარულით, რომელიც აღმოცენდება ლოთობის ნიადაგზე პსიქიურ გარყვნილებით.

ანტრაქტების დროს საზოგადოება ეცნობოდა სანიტარულ განათლების მუზეუმს.

საზოგადოთ მსახიობთა მოხდენილმა თამაშმა, პიესის შინაარსმა, და მუზეუმის დათვალიერებამ ანტრაქტების დროს სანიტარულ ცოდნის მიწოდებასთან ერთად დიდათ ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება.

ლოთობასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალების გაცნობის მიზნით აუცილებლად მიმაჩნია ყველა ქარხნების კომიტეტებმა და წითელარმიელებმა უკლებლივ და რიგრიგობით გაეცნონ ამ პიესას, რაც დიდათ ხელს შეუწყობს სოციალურ მტრის—ლოთობის აღმოფხვრა-დამარცხებას.

ნიკოლაიშვილი.

პასუხად მუშკორ ამხ. დიდუბელს.

(იხ. „კომუნისტი" № 270)

გაზ. „კომუნისტ"-ში მოთავსებული იყო შენიშვნა, ა | წ. 23 ნოემბრის მე-270—ნომერში სათაურით „მუშათა ხაფანგები უნდა მოისპოთ" ქალ. ტფილისის მილიციის უფროსმა ა. | წ. 17 დეკემბრის (მე-8691 ნომრით) მომართვით გვაცნობა, რომ სულ დიდუბეში ყოფილა 5—6 სამიკიტნო. იშვიათათ ყოფილა ის შემთხვევა, რომ მუშები ყოფილიყვნენ სამიკიტნოში შემჩნეულნი ლოთობაში და თუ ასეთი გარემოებას ჰქონია ადგილი ეს იმით აიხსნება, რომ ღვინო ჩამოაქვთ რკინის გზის მოხელეებს კახეთიდან, რომელსაც ჰყიდიან და თვითონაც ოჯახებში ითრობიან, რის წინააღმდეგ მიღებულია შესაფერი ზომები.

ინფორმატორი (ხელის მოწერა).

გერმანიის პროლეტარიატის სახელობის მუშათა კლუბში.

ა. წ. 27 დეკემბერს № 1 ტყავეულობის ქარხკომმა მოაწყო მუშებისათვის უფასო მხიარული საღამო-წარმოდგენა. ამხანაგი მუშები ბლომად დაესწრენ საღამოს. ვიდრე წარმოდგენა დაიწყებოდა ექიმმა ელიაშვილმა წაიკითხა ლექცია—„ადამიანის გაახალგაზრდობაზე". ლექციის შემდეგ ადგილობრივი დრამატიულ ქართულ წრის მიერ წარმოდგენილ იქნა მხიარული კომედიები „ზაიკუში" და „პარტია-პურტია". პირველი წარმოდგენა ვერ იქნა სათანადოდ დადგმული, მეორე კი ჩინებულად ჩატარდა. კარგი იყვნენ რ. ფირუმოვი გლეხის როლში, ჩიქია ავადმყოფის როლში და ს. კულუმაშვილი ექიმის როლში. გარდა ამისა დარბაზში წესრიგის დაცვა არ სწარმოებს და ერთი-მეორეს ხელს უშლიან, რის წინააღმდეგ საჭიროა კლუბის გამგემ მიიღოს შესაფერისი ზომები. თვით ფარდაც მაყურებელზე ძალიან გლახა შთაბეჭდილებას ახდენს. ფარდას აუცილებლად შეკეთება სჭირდება.

მუშკორი გ. მ—შვილი.

საჭიროა ვიცოდეთ რაშია საქმე

(რკინის გზის პოლიტგანყოფილების საყურადღებოდ).

რკინისგზელთა კავშირის ადგილკომის თავმჯდომარემ, იმათივე კლუბში გამოუცხადა მუშკორების წრეს: „ორშაბათს და ხუთშაბათს ყოველთვის კრებები უნდა გაიმართოს"-ო.

როდესაც მუშკორებმა ამ წინადადებას პროტესტი გამოუცხადეს, იმ მიზეზების გამო, რომ ამ დღეებში მათ სხვადასხვა რედაქციებშიც აქვთ კრებები, ადგილკომის თავმჯდომარემ უპასუხა: „მე გავიგებ, თქვენ ვინცა ხართ!

—კრებებს უნდა დაესწროთ. არ მოგვა მუშკორი, გამოვრიცხავთ კავშირიდგან".

საკვირველია, რკინისგზელთა კავშირმა მუშკორების გაუგებრად და მათ მონაწილეობის მიუღებლად როგორ გახსნა წრე და დანიშნა სწორედ უხერხული დღეები კრებების მოსაწყობად.

მიკვირს რა საჭიროა მუქარა? და შეზღუდვა შეგნებულ მუშებისა, როგორიც არიან მუშკორები?

ნუ თუ რკისისგზელთა კავშირს უნდა გვაიძულოს არ ვწეროთ, მისი და საერთოდ რკინის გზის მუშაობის შესახებ—და ამრიგად „არ გამოვიტანოთ ქოხიდან ნაგავი", როგორც რუსული ანდაზა გვეუბნება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშკორები გაზეთებში თავისუფლად და შეგნებულად მუშაობენ. საბჭოთა სხეულზე სპობენ ყოველგვარ ჭრილობებს და სენს.

ვფიქრობთ, რომ რკინ.-გზ. კავშირი დაუყოვნებელ პასუხს მოგვცემს ამ გარემოების შესახებ.

მუშკორთ მახს.

რკინის გზის განყოფილება ცენტრამოტი

(შრომის კომისარის და პოლიტგანყოფილების საყურადღებოდ).

ამა წლის 22-დეკემბერს ჩვენ, ცენტრამოტის რკინის გზის ხაზის მუშა-მოსამსახურეებმა, მივიღეთ დეკემბრის პირველი ნახევრის ჯამაგირები ძალიან დაკლებული კურსით; მაგალითად დეკემბრის 18-ს არის შედგენილი ჩვენი ტაბელი და საქ. მანეთის კურსი კი აღებულია რვა დეკემბრისა 40.770.000 მან. რაოდენობით, როცა 15 დეკემბრისთვის მანეთის კურსი უდრიდა 50.400.000 მანეთს. ამის გამო თვითეულ მუშა-მოსამსახურეს დაახლოებით აკლია ას-ასი მილიონი მანეთამდე და ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც ბაზრის ფასებმა აიწიეს თითქმის 80 პროცენტამდის. საჭიროა ამას შრომის ორგანოებმა, როგორც მუშათა ინტერესების დამცველებმა, მიაქციონ შესაფერისი ყურადღება და ჩვენს ადმინისტრაციას განმარტოს, რათა ისედაც მცირე ხელფასი კიდევ არ მცირდებოდეს.

ხაზ. ზესტაფონის მეურნეობის მუშა [illegible].

ბიბლიოგრაფია

1917 წლამდე დაღუპულ რევოლიუციონერთა ხსოვნას

ტფილისი, ჟურნალ „რევოლიუციის მატიანეს" გამოცემა.

საქართველოს კომუნისტები პარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისიამ პროლეტარიატის რევოლიუციის ექვსი წლის თავზე გამოსცა ალბომი საქართველოს ძველ რევოლიუციონერებისა, რომლებიც დაიღუპნენ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში 1917 წლამდე.

ეს კრებული-ალბომი მეტად სუფთად და ლამაზათაა გამოცემული. პირველ გვერდზე მოთავსებულია სურათი, თუ როგორ ნავარდობდენ წინად მეფის აგენტები მებრძოლ რევოლიუციონერებზე. ეს სურათი მეტად ახლოა სინამდვილესთან და არ შეიძლება ჩაითვალოს გადამეტებულად, ვინაიდან, ვისაც კი გაუვლია ძველი რეჟიმის წყობილება და იგიმა მისი სუსხი, პირდაპირ ფოტოგრაფიულ სურათად მიიჩნევს მას.

შემდეგ დასაწყისში მოთავსებულია წინასიტყვაობის მაგვარი მიმართვა კომ. პარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისიისა მკითხველებისადმი, რომელშიაც კომისია, სხვათა შორის, შემდეგს აღნიშნავს: „ვგრძნობთ, რომ ჩვენი გამოცემა უნაკლო არ არის. ბევრი დაღუპული რევოლიუციონერი ვერ ამშვენებს ჩვენს ალბომს, მაგრამ ამასთანავე ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი მარტო ჩვენ არ დაგვდებს ამაში ბრალს, ვინაიდან რამოდენიმე თვის განმავლობაში ვაცხადებდით და ვიმედოვნებდით ძველ რევოლიუციონერებს, ამხანაგებს,—შეეწყოთ ამ საქმეში ჩვენთვის ხელი... კომისია შეეცდება ამ ნაკლის შევსებას, იმ ალბომით, რომელიც 1917 წ. შემდეგ დაღუპულ რევოლიუციონერთა სახსოვრათ იქნება გამოცემული".

მართლაც, როგორც თვითონ კომისია აღნიშნავს, ნაკლი აქვს ამ ალბომს, მაგრამ ეს მიეწერება საერთო პირობებს, რომლებშიაც ჩვენ ყველას გვიხდება მუშაობა და არა თვით გამომცემლობას.

შემდეგ მოთავსებულია მეტად საყურადღებო და საინტერესო სურათი რევოლიუციონერთა ჯგუფისა, რომელიც გამოცემული იყო ჯერ კიდევ 1906 წ. თავისუფლებისათვის მებრძოლთა ხსოვნის აღსანიშნავად. ალბომი შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: პირველი ნაწილი, რომელშიაც მოთავსებული არა მარტო ბიოგრაფიები ძველ რევოლიუციონერებისა, არამედ თვით ფოტოგრაფიული სურათებიც და მეორე ნაწილი, რომელშიაც მოთავსებულია მარტო ბიოგრაფიები სურათების გამოკლებით, ვინაიდან, როგორც თვით რედაქცია აღნიშნავს, ვერ უპოვიათ მათი ფოტოგრაფიული სურათები.

ალბომი ძალიან სუფთად და ლამაზათაა გამოცემული კარგ ქაღალდზე და მასთან, რაც უმთავრესია ძალიან მდიდარი შინაარსისაა, ასე რომ ეს წარმოადგენს პირდაპირ სამაგიდო ალბომს ყოველ რევოლიუციონერისთვის.

ვურჩევთ ყველას და განსაკუთრებით კი რევოლიუციონერ მუშებს და გლეხებს შეიძინონ ეს ალბომი, რომელშიაც გაიგებენ ისინი, თუ ვინ მიიტანა თავის თავი სამსხვერპლოზე თვითმპყრობელობის დასამხობათ და მშრომელთა მასების ხელისუფლების გასამარჯვებლად.

X.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 116

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.
სახელმწიფო, საკოოპერაციო და კერძო საწარმოთა ანგარიშების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა სამრეწველო დაწესებულება, სახელმწიფო, საკოოპერაციო და კერძო, რომელსაც მექანიკური მამოძრავებელი აქვს ან და რომელსაც, თუ ასეთი მამოძრავებელი არა აქვს, ჰყავს დაქირავებული მუშა ან არტელის წევრი არა ნაკლებ ათისა, მოვალეა სტატისტიკურ ცენტრალურ სამართველოს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მის ორგანოებს წარუდგინოს ოლმა სანგარიშო ცნობები დაწესებული პროგრამით და თანახმად ხსენებულ დაწესებულებათა ცენტრალური ორგანოების მიერ გამოცემული ინსტრუქციებისა.

შენიშვნა: 1. დაწესებული ცენზის დამოუკიდებლად, აღნიშნული ანგარიშგება სავალდებულოა ყველა იმ დაწესებულებისათვის, რომელსაც უნდა გაეწიოს საქციზო ზედამხედველობა, რამდენი მუშაც უნდა ჰყავდეს.

2. სამთვალიან წისქვილზე ნაკლებ თვალიანი წისქვილისათვის ანგარიშგება სავალდებულო არ არის.

2. ქ. ტფილისის ტერიტორიაზე მყოფ სამრეწველო დაწესებულებამ აღნიშნული ცნობები უნდა წარუდგინოს პირდაპირ სტატისტიკურ ცენტრალურ სამართველოს და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სტატისტიკურ-საეკონომიო ქვეგანყოფილებას, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებში კი—სამაზრო სასტატისტიკო ბიუროს.

3. ყველა სახელმწიფო ორგანომ, რომელსაც კი დასჭირდება სტატისტიკური ცნობები სამრეწველო დაწესებულების შესახებ, ამისათვის უნდა მიმართოს არა პირდაპირ ამა დაწესებულებას, არამედ სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოს ან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

4. სამრეწველო დაწესებულების მფლობელს და გამგეს დაევალება აწარმოოს დაწესებულების მუშაობის ანგარიში იმ პროგრამით, რაც შემუშავებულია სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოს მიერ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით.

5. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ანგარიშთა და ცნობათა წარუდგენლობისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი პასუხს აგებს დისციპლინარული წესით ან მიეცემა პასუხისგებაში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის 232 მუხლის თანახმად. ხოლო კერძო პირი პასუხს აგებს ადმინისტრატიულ წესისამებრ ჯარიმის გადახდით სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულების თანახმად 10 ჩერვონცამდე. უკეთუ კერძო პირი დაკისრებულ ჯარიმას არ გადაიხდის პასუხისგებაში იქნება მიცემულ სისხლის სამართლის კოდექსის 234 მუხლის თანახმად.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. [illegible]

1923 წ. დეკემბრის 21.
ტფილისი—სასახლე.

განკარგულება № 41

სახალხო განათლების კომისრისა.
ქ. ტფილისი 1923 წელ დეკემბრის 28.

თანახმად ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის დეკემბრის 3-ს დადგენილებისა (ოქმი № 38):

1. იანვრის 2 ამით ცხადდება ქართული თეატრის სადღესასწაულო დღეთ.

2. ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა სანახაობითა დაწესებულებებს (დრამისა და ოპერის თეატრებს, აგრეთვე კინოებს) ევალებათ იდღესასწაულონ 2 იანვარი, რისთვისაც ხსენებული დაწესებულებანი ვალდებულნი არიან გამართონ ამ დღეს შესაფერისი წარმოდგენები და სანახაობანი და

3. საერთო შემოსავლის 50 პროც. ამ წარმოდგენებისა და სანახაობათა გადასცენ საქართველოს მსახიობთა კულტურულ კავშირის საბჭოს.

განათლების სახალხო კომისარი
დ. კანდელაკი.
საქმეთა მმართველი
ალ. მიქაბერიძე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. ტ. კ. ქალთა განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 3 იანვარს 1924 წ., საღამოს 5 საათზე, გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციაში დანიშნულია კორესპონდენტ ქალთა კრება.

დღის წესრიგი:

1. დანიშნულება და მიზანი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა.
2. მუშა კორესპონდენტთა ორგანიზაცია.
3. მუშა ქალთა გაზეთი.
4, მიმდინარე საკითხები.

სავალდებულოა დასწრება ყველა კორესპონდენტ მუშა-ქალებისა.

ტფ. კომიტეტის ქალთა განყოფილება.

— დღეს, 1 იანვარს, 1924 წ. დილის 11 საათზე, ტფ. კომიტ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე დანიშნულია

პოლიტწოდნის სკოლათა ხელმძღვანელების თათბირი.

მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: დივნოგორცევი, როზლინი, პანტელეევი, შეტრუველი, მიქაძე, ბუხნიკაშვილი, ზილბერმანიცი, გრიშენკო, ბაზინჯაგიანი, იობიძე, ხარმანდარიანი, ბეჟანოვი, შირვანსკი, პოლოსიანი, ტერ-არუტიუნოვი, სტანკი, სალარიძე, კარგუჩეიანი და გოლენსკაია.

დღის წესრიგში არის:

1. სკოლების პროგრამა.
2. სახელმძღვანელოები.
3. მეცადინეობის მეთოდები.
4. მიმდინარე საქმეები.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მაგ იერ
ა. პენიაკოვა.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი იუწყება, რომ 1924 წ. 2 იანვარს, დილის 10 საათზე, ტფილისის კომიტეტის ბინაზე (საორგ. განყოფილებაში).

გაიმართება საქ. კ. პ. ტფილისის ორგანიზაციის რაიკომების მდივანთა თათბირი.

თათბირზე მოწვეულნი არიან: რაიკომების ინსტრუქტორები, რაიკომების განყოფილებათა გამგეები და სასოფლო იაჩეიკების მდივნები.

ტ. კ. მდივანი რ უ ბ ე ნ ი.

განცხადებები

ძმები ვიკენტი, ნიკოლოზი და პავლე გიორგის ძე ბაზლაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძმა

კონდრატი გიორგის ძე ბაზლაძე

დღეს 1 იანვარს, 10 საათზე მიცვალებულს გამოასვენებენ ქალაქის მეორე საავადმყოფოდან და დაკრძალულ იქნება წმ. ნინოს სასაფლაოზე

1—1 № 832

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 1 იანვარს 1924 წ.

კ ა რ მ ე ნ ი

ხვალ 2 იანვარს

ბ ო ჰ ე მ ა

ნის. 810 3—3

ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატ საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი

წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებათ, რომელნიც ეწევიან შეფობას (სამხედრო ნაწილებისას, სოფლისას, საბავშვო სახლისა და სხვ.) ერთი კვირის განმავლობაში რეგისტრაციაში გაიარონ ა. კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში (გრიბოედოვის ქ. № 19).

ა. კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილე ათაბეგოვი.

ნის. 812 3—3

ს. ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინიციატივით

2 იანვარს, 1924 წ. საღამოს 6 საათზე ტფილისის საფონდო-საქონლის ბირჟის ბინაზე

დანიშნულია

ექსპერტიზა

და

დეგუსტაცია

ჩაქვის სახალხო მამულებისა და ყველა სხვა **ჩაისა** რომელიც კი გასასყიდათ იშოვება საქართველოს ბაზარზე.

ექსპერტიზაზე მოწვეულნი არიან

ჩაით მოვაჭრე ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა და ფირმების წარმომადგენელნი.

დეგუსტაციის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ბირჟასა და მიწათმოქმედების კომისარიატში.

(ტელეფონი 15—43). ნის. 814 2—2

ამინდი ამიერკავკასიაში

30 დეკემბერი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით):

ფოთში... 12 გრ., ბათომში... 12., სამტრედიაში...8 გრ., აჯამეთში... 8 გრ., ქიათურაში... 4 გრ., მუხრანში... 1 გრ., ბორჯომში...—2 გრ., სურამში...2 გრ., ლფილისში... გრ., ერევანში .. 4 გრ; (ბაქოდან, ქუთაისიდან, წიფიდან და მუკუზანიდან ცნობები არ მოსულა).

ღრუბლიანობა: მუხრანში—სულ მცირე, დანარჩენ ადგილებში მოღრუბლულია.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთ—ჩრდილოეთ — აღმოსავლეთის. აჯამეთში—იმავე მიმართულებისა, ნელი, დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ წყნარი.

ნალექი: ნელი წვიმა ფოთში და ბათომში.

ამინდი საქართველოში.

30 დეკემბერი, დილის 7 საათი.

კაჯაჯი. ტემპერატურა...—1 გრ. მოღრუბლულია, ქრის ნელი აღმოსავლეთის ქარი.

[illegible]. ტემპერატურა...—2 გრ. მოღრუბლული, ქარი არ ქრის.

ტფილისი

31 დეკემბერი დილის 1 საათი.

ტემპერატურა: 7 გრ.

ღრუბლიანობა: სრული. ქარი არ ქრის.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ

კახეთის გზაზე მატარებლების მიმოსვლის სიჩქარის გადიდების გამო, საფოსტო მატარებლების მიმოსვლის ნუსხა 1924 წლ. 1 იანვრიდან

შეცვლილია შემდეგნაირად:

მატ. № 3	ტფილისიდან გადის	6 ს. 00 წ.	დილ.
„ „	გურჯაანიდან „	12 ს. 20 წ.	„
„ „	თელავში ჩადის	1 ს. 52 წ.	„
მატ. № 4	თელავიდან გამოდის	3 ს. 30 წ.	„
„ „	გურჯაანიდან „	5 ს. 35 წ.	საღ.
„ „	ტფილისში ჩამოდის	11 ს. 30 წ.	ღამ.

ნის. 817—1—1

პროფესორი გ. მუხაძე

დაბრუნდა და **განაახლა** ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის პრ. № 58. 278—12—12

ელექტრონის და სინათლის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლებით [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიული და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღ

ნაძალადევი, ტფილისი, კურდღლიანოვის ქ. № 20. (126—25—19)

ექიმი

პ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 105—25—

ს ა ხ ლ ი

თავისუფალი ბინებით საჩქაროთ და იაფად იყიდება. ვისაც სურს იყიდოს და გაყიდოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № [illegible], ბინა [illegible] დილის 11 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. № 833 1—1

დაიკარგა საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის მიერ გაცემული საწევრო წიგნაკი № 8414. ჩაითვალოს გაუქმებულად ლეონტი ნიკოლაიშვილი. 1—1 № 834.

დაიკარგა დავით სამსონისძე მურვანიძის სახელზე გაცემული განათლების მუშაკთა, პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 3762, ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 № 835.

სასტუმრო „ნოე"-სთან

მოწყობილია სრულიად ახალი მდიდრულად მორთული

სასადილო-რესტორანი „ნოე" საუკეთესო სამხატვრო თეატრით,

რომელიც გაიხსნა 31 დეკემბერს.

მოწვეულია არიან გამოჩენილი არტისტიული და სამხატვრო ძალები.

პლეხანოვის პრ. № 103. პატივისცემით ნ. ხახარაძე.

ნის. 816—5—1

საქართველოს სახალხო ბანკი

ბალანსი

აქტივი — 1923 წ 1 ოქტომბრისათვის ჩერვონეცის მანეთებით. — პასივი

აქტივი

ანგარიშების სახელწოდება	მან.	კაპ
კასა	15,171	73
სახელდახელო ანგარიში სახელმწ. ბანკში	4,184	74
„ „ ხაზინაში	18,130	54
უცხოეთის ვალიუტა, ოქრო და ვერცხლი:		
ა) ვალიუტა	264,900	26
ბ) ოქრო და ვერცხლი	291,110	—
განაღდებული თამასუქები პორტფელში	166,287	41
განაღდებული ვალდებულებანი	294,644	—
სპეციალი სახელდახელო ანგარიში:		
ა) უზრუნველყოფილი თამასუქებით	122,767	71
ბ) უზრუნველყოფ. საქონლით და საქონლის საბუთებით	387,645	78
სესხი, გაცემული საქონლის და საქონლის საბუთების დაგირავებით	400,261	16
გრძელვადიანი სესხები საკომუნალო-საამშენებლო	140,878	25
კორესპონდენტები „ნოსტრო":		
ა) რუსეთის	2,249	05
ბ) უცხოეთის	28,947	57
ანგარიში განყოფილებებთან	138,574	10
საქონლის ოპერაციების კლიენტები	18,448	01
საქონელი, კუთვნილი ბანკისა	262,125	89
სხვადასხვა პირნი და დაწესებულებანი, ავანსები და ანგარიშ-ქვეშ მყოფი თანხები	121	43
დასაბრუნებული ხარჯები	36,609	34
შეღავათი კლიენტებს	195,846	15
ბალანსი	2788903	12

პასივი

ანგარიშების სახელწოდება	მან.	კაპ.
თანხები:		
ა) ძირითადი თანხა	1420038	—
ბ) საკრიბლო „	73,725	06
გ) სათადარიგო „	[illegible],081	19
დ) სპეციალი „	10,000	—
ე) განსაკუთრებ. დანიშნულების თანხა	140,878	35
ვ) კურსის განსხვავება	592,904	59
სახელდახელო ანგარიშები	51,857	56
ანგარიში გამგეობასთან	178,837	32
საკომის. ოპერაციების კომიტენტები	1,480	58
გაუნაღდებელი და მოუთხოვეელი თანხები: გადუხდელი გადმოგზავნილი ფული	2,008	—
სხვადასხვა პირნი და დაწესებულებანი	18,800	[illegible]
პროცენტები მიღებული მომავალ წლის ანგარიშში	54,906	[illegible]
მოგება	47,703	[illegible]
შეღავათი კლიენტებს	195,846	[illegible]
ბალანსი	27889	

ს. ს. ს. რ. სახალხო ბანკის გამგეობა { ბ. ბიბინეიშვილი
ი. ლორთქიფანიძე.

ბუხჰალტერი ბ. ტოგონიძე.
ინსპექტორი დ. ზრიხო